[illegible] ბიბლიოთეკა
თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
26 აპრილი
1941 წ.
№ 98 (6103)
ფასი 15 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულების ნიშნით

პირველადს პარტორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებები ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით მიმდინარეობს. კომუნისტები ანგარიშგება-არჩევნებში უაღრესად საქმიან მონაწილეობას ღებულობენ, ავსებენ საანგარიშო მოხსენებებს, შეაქვთ კონკრეტული წინადადებანი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, სახავენ ღონისძიებებს საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის.

სამეურნეო და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მოურიდებელმა კრიტიკამ სასურველი შედეგები მოგვცა. ცოტა როდია ისეთი საწარმო-დაწესებულებები, სადაც სუსტად იბრძოდნენ XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. იქ ამ მხრივ გარდატეხა მხოლოდ მაშინ იქნა მიღწეული, როცა კომუნისტებმა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ამხილეს ეს ნაკლოვანებანი, დღის სინათლეზე გამოიტანეს დანაშაულებრივი უმოქმედობის, წაყრუებისა და გულდამშვიდების ფაქტები. მათ გაამახვილეს ყურადღება სისუფთავის, წესრიგის დაცვაზე, მოწყობილობის, ინვენტარისა და მასალების სწორად დაყენებულ აღრიცხვასა და გამოყენებაზე, გრაფიკით მუშაობის დანერგვაზე, რომ გეგმას ასრულებდეს თვითეული საამქრო, ბრიგადა, დაზგა ასორტიმენტისა და ხარისხის ზუსტად დაცვით. მაგრამ იმისათვის, რომ მიაღწიო წარმატებებს, აუცილებელია შესრულების სისტემატური შემოწმება.

არის ფაქტები, როცა საანგარიშო-საარჩევნო კრებებს ისე ატარებენ, რომ შესრულების სისტემატურ შემოწმებას ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. პირველადი პარტორგანიზაციის ზოგიერთი მდივანი კმაყოფილდება მიღწევებისა და ნაკლოვანებების მშრალი რეგისტრაციით, ქრონოლოგიური დალაგებით, ნაკლებად ფიქრობს ილაპარაკოს იმის შესახებ, თუ რა უნდა გაეკეთებინა საანგარიშო პერიოდში, კონკრეტულად მოუთხროს კრებას, როგორ იყო დაყენებული შესრულების შემოწმება და ამ მხრივ რა ნაკლოვანებებს ჰქონდა ადგილი პირველადი პარტორგანიზაციის მუშაობაში. ზოგან პარტბიუროს მდივანს თითქმის არაფერი უთქვამს საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ჩატარებულ მუშაობაზე. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ლ. ვათეიშვილმა გვერდი აუარა საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლას. მას კი საკმაოდ ბევრი ჰქონდა სათქმელი. აპარატის მუშაობის გაუმჯობესება, მშრომელთა [illegible]

ორგანიზაციებზე. ისინი სუსტად იბრძოდნენ საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. ამიტომ იყო, მაგალითად, რომ ბათუმის სავაგონო დეპოს პარტბიუროს მუშაობა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტებმა არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს. მათ მკაცრად გააკრიტიკეს პარტბიუროს მდივნის ამხ. ნ. ელისტრატოვის საანგარიშო მოხსენება. პარტორგანიზაცია ვერ ანხორციელებდა კონტროლს სამეურნეო საქმიანობაზე, მოუგვარებელი იყო მოწყობილობის, ინსტრუმენტებისა და მასალების აღრიცხვა, ადგილი ჰქონდა ოსტატის როლის შეუფასებლობას, პარტბიუროს სისუფთავისა და წესრიგის დასამყარებლად სათანადო ზომები არ მიუღია.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტები გამოდიან ნაკლოვანებათა ბოლშევიკური კრიტიკით. ისინი სავსებით სწორად მოითხოვენ შესრულების სისტემატური შემოწმების ბოლშევიკურად დაყენებას. მათ კარგად იციან, რომ შესრულების სისტემატური შემოწმება ხელმძღვანელი მუშაობის მთავარი ნაწილია. იგი ნერგავს მუშაობაში ოპერატიულობას, გვეხმარება ნაკლოვანებათა უსწრაფეს ლიკვიდაციაში, ჰქმნის გეგმების დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულების პირობას. იქ, სადაც არ არის შესრულების სისტემატური შემოწმება, სადაც შემთხვევიდან შემთხვევამდე, ეპიზოდურად ამოწმებენ ვალდებულებათა შესრულებას, ადგილი აქვს გარღვევებს, ჩამორჩენას, საქმის გაჭიანურებას.

ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „შესრულების კარგად დაყენებული შემოწმება — ეს ის პროჟექტორია, რომელიც გვეხმარება გავაშუქოთ აპარატის მუშაობის მდგომარეობა ყოველ დროს და დღის სინათლეზე გამოვიყვანოთ ბიუროკრატები და კანცელარისტები. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ჩვენი ხარვეზებისა და გარღვევების ცხრა მეათედი აიხსნება შესრულების სწორად დაყენებული შემოწმების უქონლობით. ეჭვს გარეშეა, რომ შესრულების ასეთი შემოწმების დროს ხარვეზები და გარღვევები უთუოდ თავიდან იქნებოდა აცილებული“.

არიან ისეთი პირველადი პარტორგანიზაციები, რომლებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ შესრულების სისტემატურ შემოწმებას. თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის პარტორგანიზაცია, მართალია, სისტემატურად იხილავს საწარმოო საკითხებს, სახავს არც თუ ისე ურიგო ღონისძიებებს, მაგრამ შესრულების შემოწმებას არ ახდენს. ეს მისი მუშაობის დიდი მინუსია. იგივე შეიძლება ითქვას თბილისის ძაფსართავი ფაბრიკის პარტორგანიზაციის მუშაობაზე. რაღა უნდა ვილაპარაკოთ ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიის ტერიტორიული პარტორგანიზაციის შესახებ, პარტორგანიზაციისა, რომელმაც საანგარიშო პერიოდში სულ 133 საკითხი განიხილა, მაგრამ შესრულების შემოწმებაზე ერთხელაც არ უმსჯელია?

საჭიროა ბოლშევიკურად დავაყენოთ შესრულების სისტემატური შემოწმება. პირველადს პარტორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებები უნდა ჩავატაროთ საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმიანი შემოწმების ნიშნით, გავშალოთ ნაკლოვანებათა მოურიდებელი კრიტიკა, დავსახოთ უაღრესად კონკრეტული, ქმედითი ღონისძიებები და სისტემატურად მოვახდინოთ მათი შესრულების შემოწმება.

მეორე დღე ახალ ყინულოვან ბანაკში

თვითმფრინავ „სსსრ ნ-169“ რადიოსადგურსა და არქტიკის აღმოსავლეთ სექტორის პოლარულ სადგურებს შორის რეგულარული რადიოკავშირი არსებობს.

სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა განუწყვეტლივ გრძელდება. ყინული, რომელზედაც მფრინავი ჩერევიჩნი საუცხოოდ დაეშვა ოთხმოტორიანი საჰაერო ხომალდით, მაგარია. ამინდი კარგია. არქტიკული მზე კაშკაშებს. 23 აპრილს ღამით ყინულოვან ბანაკში თერმომეტრი 18 გრადუსს უჩვენებდა ნოლს ქვევით. „ექსპედიციის მონაწილენი საუცხოოდ გრძნობენ თავს, თითქოს მიწაზე იყვნენ“, იუწყება რადიოთი ამხ. მაკაროვი.

24 აპრილს დილით გამოირკვა, რომ ყინული ნელი დრეიფით მიდის სამხრეთის მიმართულებით. ბანაკის კოორდინატებია: ჩრდილოეთ განედის 79 გრადუსი და 54 წუთი და დასავლეთ გრძედის 169 გრადუსი და 48 წუთი. ჰაერის ტემპერატურა 20 გრადუს ყინვამდე დაეცა.

მალოლგანედის ექსპედიციის მონაწილენი № 3 ყინულზე ოთხ-ხუთ დღეს დარჩენას აპირებენ. (საკდესი).

ახალი სარაიონო მეთესლეობის მეურნეობანი

წელს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ოლქში მოწყობილა 328 ახალი სარაიონო მეთესლეობის მეურნეობა. შარშან ჩვენი ქვეყნის სარაიონო მეთესლეობის მეურნეობებმა დიდი წარმატება მოიპოვეს. მათ მიიღეს საშუალოდ 20 პროცენტით მეტი მოსავალი, ვიდრე მეზობელმა კოლმეურნეობებმა. აღებული მოსავალი 30 მილიონ ფუთ საუკეთესო ჯიშიან მარცვალს შეადგენდა. ეს მოსავალი მთლიანად გადაეცემა კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების სათესლე ნაკვეთებს. სულ წლეულს იმუშავებს 1900 სარაიონო მეთესლეობის მეურნეობა.

საჭადრაკო მატჩ-ტურნირი

24 აპრილს მე-18 ტურში ცენტრალური იყო ბოტვინიკ-კერესის პარტია. თუ ამ პარტიას მოიგებდა, კერესს პირველ ადგილზე გამოსვლის შანსი ეძლეოდა და, გარდა ამისა, იგი მაშინ ყაიმით დაამთავრებდა მატჩს ბოტვინიკთან. ბოტვინიკს არ უნდოდა რისკზე წასვლა და მე-20 სვლაზე ყაიმი შესთავაზა კერესს, რაზედაც იგი დასთანხმდა. ამრიგად, ბოტვინიკმა კერესს მატჩი მოუგო ანგარიშით 2,5—1,5. ლილიენტალმა წააგო ბოლესლავსკისთან.

18 ტურის შემდეგ წინ არის ბოტვინიკი — 10 ქულა 16-დან, შემდეგ კერესი—8 ქულა 16-დან, მესამე და მეოთხე ადგილი უკავიათ ბონდარევსკისა და ბოლესლავსკის, რომელთაგან თვითეულს აქვს 7,5 ქულა 16-დან, მე-5 და მე-6 ადგილზე არიან ლილიენტალი და სმისლოვი — შვიდ-შვიდი ქულა 16-დან. (საკდესი).

მესამე ხუთწლედის სესხის ხელმოწერის გასტუმრება

მესამე ხუთწლედის სესხის (მესამე წლის გამოშვება) ხელისმომწერნი უკანასკნელ შესატანს იხდიან აპრილში. ეს სესხი ყველაზე დიდია საბჭოთა მთავრობის მიერ გამოშვებულ ყველა სესხთან შედარებით. ამ სესხზე ხელისმომწერთა საერთო რიცხვი 60 მილიონამდე კაცს შეადგენს. 7-8 ივნისს პირველი ტირაჟი შესდგება. სულ წელს შესდგება ამ სესხის ოთხი ტირაჟი — პეტროზავოდსკში, ლვოვში, ბელოსტოკსა და ტულაში.

ლიტვის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მისალმება ამხანაგ სტალინისადმი

მშრომელთა ბელადს, მეცნიერების დიდ მეგობარს

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ლიტვის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრთა პირველი საერთო კრება, რომელსაც ახსოვს თქვენი დიდი ზრუნვა მეცნიერული შემოქმედებისა და ნაციონალური კულტურების განვითარებისათვის, გულწრფელად მოგესალმებათ თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძევ, ლიტვის სს რესპუბლიკის ცხოვრებაში ამ ისტორიული მოვლენის გამო. გვიხარია, რომ ახალ საბჭოთა რესპუბლიკაში მეცნიერებათა აკადემიის დაარსებით ასრულდა ლიტველ მეცნიერთა ძველი ოცნება.

კრების ყველა მონაწილე ზეიმით აცხადებს, რომ მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იმუშაონ არა მარტო ლიტვის სს რესპუბლიკის მეცნიერებისა და მშრომელთა საკეთილდღეოდ, არამედ აგრეთვე გულწრფელად ითანამშრომლონ საბჭოთა კავშირის სხვა მეცნიერებათა აკადემიებთან და განამტკიცონ სოციალისტური წყობილების მეცნიერული საფუძვლები.

კრების თავმჯდომარე პროფესორი მ. ბირჟიშკა
კრების მდივანი პროფესორი პ. სკარჯუსი

კაუნასი, 23 აპრილი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს ა. ვ. პალადინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ბიოქიმიის დარგში ღირსშესანიშნავი დამსახურებისათვის და საბჭოთა ბიოქიმიკოსების კადრების მომზადებისათვის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ალექსანდრე ვლადიმერის-ძე პალადინი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1941 წლის 24 აპრილი.

სსრ კავშირსა და იაპონიას შორის დადებულ ნეიტრალიტეტის პაქტის რატიფიკაცია

იაპონიის იმპერატორმა 1941 წლის 25 აპრილს რატიფიკაცია უყო სსრ კავშირსა და იაპონიას შორის დადებულ ნეიტრალიტეტის პაქტს, რომელსაც 1941 წლის 13 აპრილს ხელი მოაწერეს მოსკოვში სსრ კავშირის და იაპონიის რწმუნებულებმა, და მოიწონა იმავე თარიღის დეკლარაცია, ხელმოწერილი იმავე რწმუნებულთა მიერ.

ამავე დროს 1941 წლის 25 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რატიფიკაცია უყო სსრ კავშირსა და იაპონიას შორის დადებულ ნეიტრალიტეტის პაქტს, რომელსაც 1941 წლის 13 აპრილს ხელი მოაწერეს მოსკოვში სსრ კავშირისა და იაპონიის რწმუნებულებმა, და მოიწონა იმავე თარიღის დეკლარაცია, ხელმოწერილი იმავე რწმუნებულთა მიერ.

ამგვარად, სსრ კავშირსა და იაპონიას შორის დადებულ ნეიტრალიტეტის პაქტის მესამე მუხლის თანახმად, პაქტი ძალაში შევიდა 1941 წლის 25 აპრილიდან. (საკდესი).

საფრანგეთის ელჩის ბ-ნ გ. ბერჟერის ჩამოსვლა მოსკოვს

25 აპრილს მოსკოვს ჩამოვიდა საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბ-ნი გ. ბერჟერი.

ბელორუსიის ვაგზალში ბ-ნ გ. ბერჟერის შეხვდნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ვ. ნ. ბარკოვი და საფრანგეთის საელჩოს შემადგენლობა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბ-ნ ე. ლაბონის მეთაურობით.

1941 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს საგამოფენო კომიტეტმა მთავარ საგამოფენო კომიტეტს დასამტკიცებლად წარუდგინა 1941 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეობის 10.034 კანდიდატი.

მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა განიხილა 7.297 კანდიდატურა და გამოფენის მონაწილედ დაამტკიცა 7.187 კანდიდატი. დანარჩენი კანდიდატურები განხილულ იქნება უახლოეს დღეებში.

საგამოფენო კომიტეტში

24 აპრილს მოსკოვს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაიგზავნა 5 ვაგონი ექსპონატი; 3 ვაგონი ციტრუსთა ნაყოფი — ლიმონი, მანდარინი და ფორთოხალი, 1 ვაგონი ვაშლი, ხმელი ხილი, მურაბა და კონსერვები, 1 ვაგონი კაკალნაყოფიანები, ბოსტნეულ-ბაღჩეული, ნაირნაირი ჰერბარიუმები და სხვა ექსპონატები.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს საგამოფენო კომიტეტმა საქართველოს პავილიონისათვის შეარჩია და მოსკოვს გაგზავნა ექსკურსიის ხელმძღვანელები და მთარგმნელები. მოსკოვში ექსკურსიის ხელმძღვანელები გამოფენის გახსნამდე სპეციალურ მომზადებას მიიღებენ. (საქდესი).

ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სს რესპუბლიკათა ექსპონატები

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ლიტვისა და ლატვიის სს რესპუბლიკებიდან მიღებულია ნატურალურ ექსპონატთა პირველი პარტია. ექსპონატთა შორის არის რამდენიმე ჯიშის მარცვლეული კულტურა. სელის თესლის ნიმუშები, მსუბუქი და კვების მრეწველობის ნაწარმი.

ბალტიისპირეთის მოკავშირე რესპუბლიკათა პავილიონმა რევოლუციის მუზეუმიდან საინტერესო დოკუმენტალური მასალები მიიღო სტენდებისათვის; ეს მასალები მიძღვნილია ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მშრომელთა რევოლუციური წარსულისადმი. ფოტოსურათები ასახავენ ბალტიისპირეთის მუშათა და გლეხთა გმირულ ბრძოლას რუსეთის პროლეტარიატთან, ერთად რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ

ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის თბილისის მეხუთე სავაგონო უბნის კოლექტივი წინასამაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში შესამჩნევ წარმატებებს აღწევს.

ცალკეული სტახანოველები გადაჭარბებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

მეავტომატე-ზეინკალი, კომკავშირელი ვალიევი ყოველდღიურ გეგმას 400 პროცენტის ნაცვლად ასრულებს 425 პროცენტით. ახსნითი შეკეთების საამქროს სტახანოველ მბურღავს ამხ. პავლენკოს აღებული აქვს ვალდებულება ყოველდღიური გეგმა 400 პროცენტით შეასრულოს, ფაქტიურად კი ასრულებს 625 პროცენტით. მექვაბეები ამხ. მაშენცევი, აბუაშვილი და ვახრუშევი, რომელთაც აგრეთვე პირობა დასდეს, რომ ყოველდღიურ გეგმებს 400-400 პროცენტით შეასრულებდნენ, ფაქტიურად ასრულებენ 500-600 პროცენტით.

ასეთივე მაღალი მაჩვენებლებით ხვდებიან პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის დღეს: ზეინკალი, ლენრაისაბჭოს დეპუტატი სერგო ქსოვრელი, დურგალი რუბენ დავიდოვი, ელექტროშემდუღებლები ნ. საჩანელი, ბ. ვარლამოვი, ა. გულიანი და სხვ.

წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრება ყოველდღიურად ფართოვდება და საუკეთესო საწარმოო ეფექტს იძლევა.

ვ. მჭედლიშვილი

ლუნინელ მემანქანეთა ვალდებულებანი

ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის ქუთაისის კვანძზე ფართოდ გაიშალა წინასამაისო შეჯიბრება. საორთქლმავლო დეპოს სტახანოველმა მემანქანეებმა ამხ. ა. ქავთარაძემ, ა. აბდალაძემ, ა. ჯიბლაძემ, გ. ვაშაკიძემ, ვ. კოხრეიძემ, ვ. გვარაკიძემ, ა. პეტუხოვმა, ა. ოდიშარიამ და სხვებმა, რომლებიც ლუნინური მეთოდით მუშაობენ, მკვეთრად გაადიდეს ორთქლმავლების სადღეღამისო გარბენა, ორთქლმავალზე მოსპეს მიმდინარე შეკეთებები და დიდძალი სათბობი დაზოგეს. მემანქანე ა. ქავთარაძემ № 414 ორთქლმავლით ქუთაის-ტყიბულის უბანზე გადიდებული წონის მატარებელი წაიყვანა და მარტში 4 ტონა მაზუთი დაზოგა. მემანქანე გ. ვაშაკიძემ თებერვალ-მარტში დაზოგა 9 ტონა მაზუთი. ასევე მუშაობენ მემანქანეები ამხ. პეტუხოვი, ოდიშარია, კოხრეიძე, ჯიბლაძე, გვარაკიძე და სხვები. ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ არ დაუშვან წუნი, ორთქლმავლები ჰქონდეთ სუფთა და ჯანსაღ მდგომარეობაში, 25-30 პროცენტით დაზოგონ საწვავი მასალა.

ზეინკლებმა ამხ. დ. მუშკუდიანმა, დ. ცომაიამ ა. ჯინჯიხაძემ იკისრეს მთლიანად მოსპონ საგარეცხვო შეკეთებები და გეგმის ზევით გამოუშვან 4 ორთქლმავალი.

მატარებლის შემადგენელმა ამხ. დ. ობოლაძემ ვალდებულებად იკისრა 1 საათით ადრე შეადგინოს ყველა სახის მატარებელი, არ დაუშვას წუნი. მესამე სალიანდაგო დისტანციის სტახანოველმა ზეინკალმა ამხ. ნ. ხურცილავამ პირობა დასდო, რომ გეგმებს 160 პროცენტით შეასრულებს. ნაკისრ ვალდებულებებს ეს ამხანაგები წარმატებით ანაღდებენ.

ი. ლონდაძე

ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის ქუთაისის კვანძის პარტბიუროს მდივანი

ფოთი ემზადება პირველი მაისისათვის

ფოთი („კომუნისტის“ კორ.). რკინიგზის კვანძის საწარმოებში, ნავსადგურში და ლ. პ. ბერიას სახელობის გრეიპფრუტის საბჭოთა მეურნეობაში ფართოდ გაიშალა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება.

გრეიპფრუტის საბჭოთა მეურნეობას შეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს აფხაზეთის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობა, კოლხიდის კ. ნ. ჩარკვიანის სახელობის ახალდასახლებულ კოლმეურნეობას — აფხაზეთის კინდღის კოლმეურნეობა.

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის ქალაქკომის პარტგანათლების სახლში მომხსენებელთათვის მოწყობილია ლიტერატურის, მასალების, საუბრების გამოფენა პირველი მაისის მნიშვნელობის შესახებ. ასეთივე გამოფენა მოეწყო კულტურის სახლში, ნავსადგურის პარტკაბინეტში, ბიბლიოთეკებსა და საკოლმეურნეო კლუბ-სამკითხველოებში. მომხსენებელთათვის პარტიის ქალაქკომის მდივანმა ამხ. ნ. გაბუნიამ წაიკითხა საინსტრუქციო მოხსენება. ქალაქკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებამ ჩაატარა აგიტკოლექტივის ხელმძღვანელთა სპეციალური სემინარი პირველი მაისის მნიშვნელობაზე.

ამჟამად ფოთის ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებში, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში, სკოლებში, ქალაქის უბნებში 487 აგიტატორი ატარებს საუბრებს პირველი მაისის, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის, მეორე იმპერიალისტური ომის და სხვ. საკითხებზე.

საგიტაციო მუშაობა ფართოდ არის გაშლილი ნავსადგურში მომუშავე ბესარაბიელ მუშებთან. ისინი თავისუფლად წელს პირველად ზეიმობენ პროლეტარულ დღესასწაულს.

ქალაქი ფოთი საზეიმო ელფერს იღებს. წარმოება-დაწესებულებებში, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში იბრძვიან ამ დღესასწაულის ახალი საწარმოო გამარჯვებებით აღნიშვნისათვის.

მბურღავთა მიღწევები

წითელწყარო („კომუნისტის“ კორ.). წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს მირზაანის ნავთის სარეწაოს ბურღვის კანტორის მუშაკები. № 179 ჭაბურღილის მბურღავთა კოლექტივს, რომელსაც ორდენოსანი ზ. ბაკაშვილი ხელმძღვანელობს, აღებული აქვს ვალდებულება აპრილში გეგმის ზევით გაბურღოს 200 მეტრი. ბრიგადა წარმატებით ასრულებს ამ ვალდებულებას, 17 აპრილისათვის გეგმის ზევით უკვე გაბურღული აქვს 98 მეტრი. ბრიგადამ განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია 17 აპრილს, როდესაც გეგმის ზევით გაბურღა 31 მეტრი.

საპირველმაისო შეჯიბრებაში ჩაბმულია № 151 ჭაბურღილის ბრიგადა, რომელსაც სტახანოველი, კომკავშირელი მუსა ახმედოვი მეთაურობს. ბრიგადამ 17 აპრილს გეგმით გათვალისწინებული 10 მეტრის ნაცვლად გაბურღა 36 მეტრი და დავალება 360 პროცენტით შეასრულა.

ვ. ტუხაშვილი

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს V სესია

სოხუმი („კომუნისტის“ კორ.). აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს V სესიამ 24 აპრილს დაამთავრა მუშაობა. ამ დღეს დილისა და საღამოს სხდომებზე გრძელდებოდა აფხაზეთის ასსრ მიმდინარე წლის ბიუჯეტის განხილვა.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები მ. ჭკადუა, პ. კვეკვეცია, გუდაუთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. ჩერქეზია, დეპუტატები ჩ. ქვაჩახია, რ. გოგოხია, შ. საქანია, გ. პაპასკუა, ხ. ბგაჟბა, ი. დარსანია, დ. ურუშაძე, დ. ჩაჩავა, პ. ჭკადუა, ლ. ყურსუა, ვ. ბეანია, ოჩამჩირის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ტარბა, აფხაზეთის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი გ. ბერულავა და დეპუტატი დ. გულია.

კამათში გამოსულნი ერთსულოვნად იწონებდნენ აფხაზეთის ასსრ მიმდინარე წლის ბიუჯეტს და აყენებდნენ საკითხებს სახალხო მეურნეობის, განათლებისა და საყოფაცხოვრებო ცალკე ღონისძიებათა დამატებით დაფინანსების შესახებ.

აფხაზეთის ასსრ ფინანსთა სახალხო კომისარის ამხ. ს. მ[illegible]

წესრიგის მეორე საკითხზე — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულების არჩევნებზე. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა დეპუტატი მ. სტარცევი. სესიამ აირჩია სახალხო მსაჯულები.

შემდეგ განიხილეს დღის წესრიგის მესამე საკითხი. აფხაზეთის კონსტიტუციის 44,64 და 67 მუხლების ცვლილებათა, დამატებათა შესახებ და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს იმ ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულია აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს III და V სესიებს შორის და რომლებიც აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა საბჭომ უნდა დაამტკიცოს — მოხსენებით გამოვიდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი დეპუტატი მ. ხაშბა. სესია ერთხმად ამტკიცებს ცვლილებებსა და დამატებებს ზემოაღნიშნულ მუხლებში და უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებებს.

სესიამ აფხაზეთის ასსრ ფარგლებს გარეთ სამუშაოზე გადასვლის გამო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომი-[illegible]

უკანასკნელი ცნობები

ტრიპოლის ბომბარდირების დაწვრილებითი ცნობები

ლონდონი, 25 აპრილი (საკდესი). ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს საზღვაო სამინისტროს კომუნიკეს, რომელშიც მოყვანილია ინგლისის ხმელთაშუა ზღვის ფლოტის გემების მიერ ლიბიაში იტალიის ნავსადგურის — ტრიპოლის ბომბარდირების ზოგიერთი დეტალი. ეს ბომბარდირება 21 აპრილს დი-[illegible]

ბუხტის გარეთ, კარამანტის მოლის მახლობლად იდგა. შემჩნეულია, რომ ბევრი ყუმბარა პირდაპირ მოხვდა საესკადრო ნაღმოსანს, რომელიც კარამანტის მოლოსთან ლუზაზე იდგა.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ბომბარდირების შედეგად სერიოზულად დაზიანდნენ აგრეთვე სხვადასხვა ნაგებობანი, [illegible]

ინგლის-გერმანიის ომი

ლონდონი, 25 აპრილი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 24 აპრილს, დღისით, გერმანიის ავიაციას თითქმის არ გამოუჩენია აქტივობა ინგლისში. მხოლოდ დილაადრიან გერმანიის ერთმა თვითმფრინავმა ყუმბარა დააყარა კენტის საგრაფოს ერთერთ პუნქტს. ბომბარდი-[illegible]

კრებული „ლენინი და სტალინი პარტიული მშენებლობის შესახებ“

[illegible]

[illegible] ჩაის ფოთლის შერჩევით კრეფა

[illegible]

პროფ. ა. გ. მაჭავარიანის დამკრძალავი კომისია

[illegible]

დადგენილება

ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის შახტების სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ჟიურისა 1941 წლის პირველ კვარტალში შესრულებული მუშაობის შედეგების შესახებ

კომბინატ „სტალინუგოლის“ მაღაროელებმა ამხანაგ სტალინისადმი 1941 წლის 1 იანვარს მიმართულ წერილში მოუწოდეს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის ყველა მუშაკს უფრო ფართოდ გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება, ახალ-ახალი საწარმოო გამარჯვებით შეხვედროდნენ საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციას, ებრძოლნათ ქვანახშირის ამოღების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამ მოწოდებამ ახალი საწარმოო აღფრთოვანება გამოიწვია მაღაროელთა მასებში. ქვანახშირის ამოღება 1941 წლის I კვარტალის განმავლობაში გაიზარდა 1940 წლის IV კვარტალთან შედარებით. კვარტალური გეგმა გადაჭარბებით იქნა შესრულებული.

სსრ კავშირის საუკეთესო შახტები

სოციალისტური შეჯიბრების შედეგთა შემფასებელმა ჟიურიმ, განიხილა რა მასალები სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა შეჯიბრების 1941 წლის I კვარტალის შედეგების შესახებ, სცნო, რომ საუკეთესო შედეგებს მიაღწია სამმა შახტმა:

1. დონბასის ტრესტ „სნეჟნიანანტრაციტის“ სტალინის სახელობის ლენინის ორდენოსანმა № 18 შახტმა (გამგე — ამხ. ევტუშენკო, მთავარი ინჟინერი — ამხ. ზიმა, შახტკომის თავმჯდომარე — ამხ. დემჩენკო). ამ შახტმა, რომელიც სსრ კავშირში უდიდეს შახტთაგანია, ქვანახშირის ამოღების გეგმა 1941 წლის I კვარტალში შეასრულა 112 პროცენტით, მოსამზადებელი სამუშაოს გეგმა — 101,4 პროცენტით, ქვანახშირის ღირებულება გეგმასთან შედარებით შეამცირა 5,2 პროცენტით, ხოლო ქვანახშირის ნაცრიანობა, დაწესებულ ნორმასთან შედარებით, — 13,2 პროცენტით, ამ შახტის 7-მავე უბანმა გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

2. კუზბასის ტრესტ „სტალინუგოლის“ სტალინის სახელობის შახტ „კოკსოვაიამ“ (გამგე — ამხ. მარკელოვი, მთავარი ინჟინერი — ამხ. მერკულოვი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი — ამხ. გორდინი, შახტკომის თავმჯდომარე — ამხ. ლუკაშოვი). შახტმა, რომელიც უდიდეს შახტთაგანია სსრ კავშირში, ქვანახშირის ამოღების გეგმა 1941 წლის I კვარტალში შეასრულა 108,8 პროცენტით, მოსამზადებელი სამუშაოს გეგმა — 122 პროცენტით, ქვანახშირის თვითღირებულება, გეგმასთან შედარებით, შეამცირა 4,3 პროცენტით, ხოლო ქვანახშირის ნაცრიანობა, დაწესებულ ნორმასთან შედარებით, — 2,6 პროცენტით.

3. მოსკოვის საგარეუბნო აუზის ტრესტ „ბოლოხოვუგოლის“ ბოლოხოვოს № 18 შახტმა (გამგე — ამხ. გილერი, მთავარი ინჟინერი— ამხ. მელნიკოვი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი — ამხ. რაბინოვიჩი, შახტკომის თავმჯდომარე—ამხ. რიაბცევი). შახტმა ქვანახშირის ამოღების გეგმა 1941 წლის I კვარტალში შეასრულა 132,6 პროცენტით, მოსამზადებელი სამუშაოს გეგმა — 183,5 პროცენტით, ქვანახშირის თვითღირებულება, გეგმასთან შედარებით, შეამცირა 4 პროცენტით, ხოლო ქვანახშირის ნაცრიანობა, დაწესებულ ნორმასთან შედარებით — 13,1 პროცენტით.

ჟიური ადგენს:

დონბასის სტალინის სახელობის ლენინის ორდენოსან № 18 შახტს, კუზბასის სტალინის სახელობის შახტ „კოკსოვაიას“ და მოსკოვის საგარეუბნო აუზის ბოლოხოვოს № 18 შახტს მიენიჭოთ სსრ კავშირის ქვანახშირის საუკეთესო შახტების სახელწოდება და მიეკუთნოთ „პრავდის“ და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშები.

მოწინავე კომბინატები, ტრესტები და შახტები

ჟიურიმ სცნო, რომ 1941 წლის I კვარტალში სხვებზე უკეთესად მუშაობდნენ შემდეგი კომბინატები: დონბასის „როსტოვუგოლი“ (უფროსი — ამხ. სპიცინი, მთავარი ინჟინერი — ამხ. კაგანი), „კუზბასუგოლი“ უფროსი — ამხ. ზადემიდკო, მთავარი ინჟინერი— ამხ. ოსტროვსკი) და საწარმოები, რომლებსაც აერთიანებს ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული შორეულ აღმოსავლეთში (ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული — ამხ. სუხანოვი, მთავარი ინჟინერი — ამხ. როზენკო).

საუკეთესო ტრესტებად ცნობილი იქნენ შემდეგი ტრესტები: დონბასის „ჩისტიაკოვანტრაციტი“ (მმართველი — ამხ. შალიმოვი, მთავარი ინჟინერი—ამხ. კრასოხოვი), დონბასის „ნესვეტაიანტრაციტი“ (მმართველი — ამხ. ბონდარევი, მთავარი ინჟინერი—ამხ. მუსლინი), დონბასის „პერვომაისკუგოლი“ (მმართველი — ამხ. ლიაპინი, მთავარი ინჟინერი — ამხ. ბელინსკი), კუზბასის „მოლოტოვუგოლი“ (მმართველი — ამხ. იალევსკი, მთავარი ინჟინერი — ამხ. ბოვტი), ურალის „კორკინუგოლი“ (მმართველი — ამხ. დიმიტრიევი, მთავარი ინჟინერი—ამხ. ფადეევი), მოსკოვის საგარეუბნო აუზის „ბოლოხოვუგოლი“ (მმართველი — ამხ. ულანოვსკი, მთავარი ინჟინერი — ამხ. როშჩუპკინი), კრასნოიარსკის მხარის „ხაკასსუგოლი“ (მმართველი — ამხ. შვაიკო, მთავარი ინჟინერი — ამხ. ზალეტინი).

აუზებში საუკეთესო შახტებად ცნობილ იქნენ შემდეგი შახტები: ტრესტ „ორჯონიკიძეუგოლის“ № 4 „კრასნი ოქტიაბრი“ და ტრესტ „ზუევანტრაციტის“ № 1 „დავიდოვკა“ — სტალინოს ოლქში; ტრესტ „ვოროშილოვუგოლის“ „დელტა II“, ტრესტ „პერვომაისკუგოლის“ № 3 „სოკოლოგოროვკა“ და ტრესტ „ბოკოვანტრაციტის“ № 15 — ვოროშილოვგრადის ოლქში; ტრესტ „ნესვეტაიანტრაციტის“ № 7 როსტოვის ოლქში; ტრესტ „მოლოტოვუგოლის“ № 4 და ტრესტ „ლენინუგოლის“ „ა“ — ნოვოსიბირსკის ოლქში; ტრესტ „კორკინუგოლის“ № 18-ბის — ჩელიაბინსკის ოლქში; ტრესტ „ოქტიაბრუგოლის“ № 43—რიაზანის ოლქში; ტრესტ „სუჩანუგოლის“ № 22 — პრიმორიეს მხარეში; ტრესტ „ხაკასსუგოლის“ № 3 — კრასნოიარსკის მხარეში; წოლხვრელი №2 „ლენგერი“ — ყაზახეთის სს რესპუბლიკაში, კიროვის სახელობისა — ირკუტსკის ოლქში (საკდესი).

მაქსიმალურად შევამციროთ მარგანეცის დანაკარგები

ყოველწლიურად იზრდება შავი მეტალურგიის მოთხოვნილება ჭიათურის მარგანეცზე. ამის შესაბამისად იზრდება მარგანეცის გამოღება. მაგრამ მარგანეცის გამოღებაში მოპოვებულ სერიოზულ წარმატებებთან ერთად უნდა ვაღიაროთ, რომ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში ჯერ კიდევ ძალიან დიდია დანაკარგების რაოდენობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მარგანეცის დანაკარგი მადნის ბურღვა-აფეთქების, მადნის სანგრევში გადარჩევისა და მადნის ფაბრიკებში გაუხვების დროს. აი, რას ამბობს მარგანტრესტის ინჟინერი ამხ. ნ. გომელაური: „გამაუხვებელი ფაბრიკების მუშაობა ხასიათდება ლითონის დიდძალი დანაკარგით. ზოგ ფაბრიკაში ლითონის დანაკარგი 40 პროცენტს აღწევს, კონცენტრატის ხარისხი არადამაკმაყოფილებელია“.

თუ გადავხედავთ მარგანეცის მრეწველობის მუშაობას, ადვილად დავრწმუნდებით ამ ფაქტში.

წინა წლებთან შედარებით 1939 წელს ჩვენ გვაქვს დანაკარგის მნიშვნელოვანი შემცირება, მაგრამ მიუხედავად ამისა, დანაკარგები საშუალოდ 25,1 პროცენტს შეადგენდა. ხოლო ზოგ გამაუხვებელ ფაბრიკაში იგი 35 პროცენტს აღწევდა (წარსულ წლებში უდრიდა 46 პროცენტს).

ამიტომ აუცილებელია სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატმა და ჭიათურის მარგანტრესტმა მეტი ყურადღება დაუთმონ დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლას. მათ უფრო ფართოდ უნდა დანერგონ მარგანეცის დამუშავების ახალი ტექნოლოგიური მეთოდები.

ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ მარგანეცის საწარმოებში მოწყობილობათა მთელი სიმძლავრით გამოყენება ჯერ კიდევ არ ხდება. ამაზე განსაკუთრებით მიუთითა ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა თავის სიტყვაში საკ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციაზე.

ეს მდგომარეობა იმაზე მეტყველებს, რომ ჭიათურაში ჩვენ გვაქვს შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების კოლოსალური შესაძლებლობანი. ცნობილია, რომ როცა გაუმჯობესებულია წარმოების მექანიზაცია, როცა მაქსიმალურად ვიყენებთ დანადგარების სიმძლავრეს, მაშინ შესაძლებელი ხდება დანაკარგების შემცირებაც.

გადაჭყარო მდ. ყვირილაში მადნის ნარჩენი, რომელიც 25-40 პროცენტ ლითონს შეიცავს, არ გადადგა რეალური ნაბიჯები ტექნოლოგიური პროცესის შესაცვლელად—ეს ნიშნავს ყოველწლიურად დაკარგო, გაატანო მდინარეს დიდი რაოდენობის მეტალური მარგანეცი. მარგანეცის მრეწველობის ნარჩენები საწარმოებმა აუცილებლად უნდა შეინარჩუნონ, რათა შემდეგ შეიძლებოდეს ამ ნარჩენების უტილიზაცია.

ამხანაგ სტალინის მითითებანი და საკ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, რომ მომჭირნეობით, ეკონომიით მოვეპყრათ მასალებს, სათბობს და საერთოდ სახალხო სიმდიდრეს, საფუძვლად უნდა დაედოს ჭიათურის მარგანტრესტის მუშაობას.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციაზე ამხ. მალენკოვმა მთელი სიცხადით აღნიშნა ყოველგვარ დანაკარგებთან ბრძოლის მნიშვნელობა და აუცილებლობა. ყველაფერი ეს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობასაც ეხება.

წარმოების სოციალისტური სისტემა ვერ მოითმენს დანაკარგებს. საჭიროა მომჭირნეობით, უდანაკარგოდ დავამუშაოთ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრენი და მით უმეტეს მარგანეცი. მარგანეცის საბადოს უყაირათო, მტაცებლური მეთოდებით ექსპლოატაცია დანაშაულია.

ვ. პეტროსიანი

ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

სოციალისტური შეჯიბრება მაღალი მოსავლისათვის

რგოლური მუშაობის პირველი ნაბიჯები

XVIII პარტკონფერენციაზე ამხ. ა. ა. ანდრეევი თავის სიტყვაში აღნიშნავდა, რომ „საჭიროა უფრო გაბედულად გადავიდეთ შრომის რგოლურ ორგანიზაციაზე კოლმეურნეობებსა და ბრიგადებში და შრომის ინდივიდუალურად და რგოლობრივ ანაზღაურებასა და პრემიების მიცემაზე მოსავლიანობის მიხედვით...“

მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგში ნაკლები გამოცდილება გვქონდა, უდიდესი პასუხისმგებლობით მოვკიდეთ ხელი ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებში შრომის რგოლურ ორგანიზაციაზე გადასვლას. ამ მხრივ სოფ. ყვარლის კოლმეურნეობა „წინსვლაში“ გადაიდგა პირველი ნაბიჯები. ადრევე შექმნილ მუდმივ საწარმოო ბრიგადებში მოეწყო რგოლები, რომლებიც დავაკომპლექტეთ წესიერად, რგოლის ხელმძღვანელებად გამოვყავით მოწინავე კოლმეურნეები. მათზე მივამაგრეთ სამი სახის სათოხნი კულტურა, ერთ რგოლზე მიმაგრებული ნაკვეთები მეორისაგან გამოვყავით სათანადო ნიშნებით და ფართოდ გავშალეთ მუშაობა ინდივიდუალური სანარდო სისტემის დანერგვით.

ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობა ჩაატარა აგრეთვე სოფ. ახალსოფლის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობამ, სადაც ყველა სახის სამუშაო შრომის რგოლური მეთოდით ტარდება.

მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა, შრომის რგოლურ ორგანიზაციაზე გადასვლის დროს რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ადგილი ჰქონდა შეცდომებსა და გაუგებრობებს, რაც ამჟამად გამოსწორებულია. ეს შეცდომები იმაში მდგომარეობდა, რომ ზოგიერთ ადგილას არასწორად დააკომპლექტეს რგოლები. მაგალითად, სოფ. შილდის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ერთ რგოლზე მიამაგრეს 8 სახის სათოხნი კულტურები, კოლმეურნეობა „მესვეურში“ 3 კაცისაგან შედგენილ რგოლს მოსავლელად მიამაგრეს 150.000 ცალი ვაზის დარგული ნერგი (ნამყენი), ხოლო სოფ. სანავარდოს კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობაში რგოლების დაკომპლექტების დროს მხედველობიდან გამოუშვეს კოლმეურნე ქალები. მთელ რიგ კოლმეურნეობებში კი (ახალსოფლის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობა, სოფ. კუჭატნის კოლმეურნეობა „განათლება“, ყვარლის კოლმეურნეობა „გამარჯვება“ გრემის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობა და სხვ.) დაკმაყოფილდნენ რგოლების მხოლოდ ქალებზე „დაკომპლექტებით“ მათზე საწარმოო დავალებების მიუცემლად.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის ცნობილმა დადგენილებამ რაიონის კოლმეურნეთა შორის ახალი მძლავრი შრომითი ენტუზიაზმი გამოიწვია. რგოლების დაკომპლექტება ხდება პარტიისა და მთავრობის 13 მარტის დადგენილების საფუძველზე.

ყვარლის რაიონის კოლმეურნეებმა პარტიისა და მთავრობის 13 მარტის დადგენილებას უპასუხეს სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით და ახალ-ახალი ვალდებულებების აღებით. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს ბევრგან წარმატებით ასრულებენ.

სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მოწოდებამ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ ჩვენს წინაშე ახალი გადაუდებელი ამოცანები დააყენა. გარდა იმისა, რომ რაიონის ყველა კოლმეურნეობა და საკოლმეურნეო ბრიგადები ერთმანეთს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ, მთლიანად ყვარლის რაიონი გურჯაანისა და ლაგოდეხის რაიონებს ეჯიბრება მაღალი მოსავლის მიღებისათვის.

გ. ჯაშიაშვილი

ყვარლის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

როგორ ინარჩუნებს ნამატს სანდრო ქარელი

გორი („კომუნისტის“ კორ.). სოფ. ქვემო ტყიავის კოლმეურნეობაში ვართ. ფერმის ძროხები ჯერ არ მოსულან მინდვრიდან. ლამაზად დასუფთავებულ ბოსელში შევედით; მის ერთ კუთხეში წელს მოგებული ხბოები კუნტრუშობდნენ. ბაგაზე დაბმული ჯიშიანი ბუღა მადიანად იცოხნებოდა.

— ჩვენი ბუღა უკვე დაწერილშვილდა, — ღიმილით გვიამბობს ფერმის გამგე სანდრო ქარელი.

მეძროხეობის ფერმის შექმნა ახალი საქმე იყო ქვემო ტყიავის კოლმეურნეობაში. აქ 1939 წლის დეკემბერში ჩამოაყალიბეს მეძროხეობის ფერმა, რომლის გამგედ სანდრო ქარელი გამოჰყვეს. გამოცდილმა კოლმეურნემ პირუტყვის კარგი მოვლის უნარი გამოიჩინა: შარშან ფერმაში 8 ძროხა ჰყავდათ, ნამატი (8 ხბო) მთლიანად იქნა შენარჩუნებული. ამამად მეძროხეობის ფერმაში ნამატის ჩათვლით 26 სული პირუტყვი ჰყავთ. ამხ. ქარელმა გვიამბო, თუ როგორ ინარჩუნებს იგი პირუტყვის ნამატს.

მოხდა ასეთი რამ: ფერმის ერთმა ძროხამ „გიშერამ“ ვადამდე სამი კვირით ადრე მოიგო ხბო, ამიტომ „გიშერას“ ცურში რძე არა ჰქონდა. კოლმეურნეობაში შეშფოთებული იყვნენ, ფიქრობდნენ ურძეობით ხბო მოკვდებაო. მაგრამ ამხ. ქარელი არ დაიბნა. მე ხბოს არ მოვკლავ, გამოვზრდი — სთქვა მან და საქმეს შეუდგა.

ფერმის ძროხებს შორის იყო „წაბლა“, რომელსაც ბევრი რძე ჰქონდა. ამხ. ქარელი „წაბლას“ ორი ძუძუს რძეს „გიშერას“ მოგებულ ხბოს აძლევდა. ეს ძნელად შესასრულებელი საქმე ორ კვირას გაგრძელდა. ამასობაში „გიშერა“ განსაკუთრებულ კვებაზე იყო. მას ცურში რძე ჩაუდგა... ასე შენარჩუნა ამხ. ქარელმა „გიშერას“ მიერ მოგებული ხბო.

ამ დღეებში ამხ. ქარელი გულდასმით გაეცნო პარტიისა და მთავრობის 1941 წლის 13 მარტის დადგენილებას კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ, იგი აგრეთვე გაეცნო სიღნაღელთა მოწოდებას მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის სოცშეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

— სანიმუშოდ მოვუვლი ფერმის ძროხებს, გავადიდებ წველადობას, მთლიანად შევინარჩუნებ ნამატს, — ასეთია ამხ. ქარელის პასუხი სიღნაღელთა მოწოდებაზე.

...მზე ჩადიოდა, ფერმის ძროხები ბოსელში შემოვიდნენ. ამხ. ქარელი ჩვეულებრივი გულმოდგინეობით შეუდგა პირუტყვის დაბინავებას.

ჯორების 50 საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმა

ჯორი ჰიბრიდია, რომელსაც ცხენისა და ვირის შეჯვარება იძლევა. ჯორს მუშაობის დიდი უნარიც აქვს. მისი შრომისუნარიანობა ცხენისას 20 პროცენტით აღემატება. ჯორი შეუდარებელია საჭაპანო ტრანსპორტში მთიან პირობებში, მისი მოვლა-შენახვა დიდ შრომას არ მოითხოვს; ეს ცხოველი დიდი ამტანიანობითა და ჯანმრთელობით განირჩევა და დიდხანს ცოცხლობს. მისი სამუშაო გამოყენების ვადა ერთიორად აღემატება ცხენისას.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში რომ ღონიერი და ამტანიანი ცოცხალი გამწევი ძალა შეიქმნას, ამისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ დადგენილება გამოიტანა ჯორების 50 საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმის მოწყობის შესახებ. ამთო-საჭაპანო და სატრანსპორტო ტიპის ჯორების საუკეთესო მწარმოებლად ცნობილია ჰამადანის ჯიშის ვირი.

დავრილების მიმდინარე კამპანიის დროს ჯორების ახლადჩამოყალიბებულ სასაქონლო ფერმებში მწარმოებლებად გამოყენებული იქნებიან თბილისის სახელმწიფო ცხენსაშენის ვირები.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომს, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკის სახკომსაბჭოებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეებსა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს დაავალა უზრუნველჰყონ ჯორების სასაქონლო ფერმები სათანადო ბინებითა და საკვებით. (საქდესი).



შვრიის თესვა მინერალური სასუქის შეტანით ლუქსემბურგის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში.
ფოტო ვ. ჩერკასოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

სიმინდის თესვისა და კულტივაციის მექანიზაცია

საქართველოში სიმინდის კულტურის სამუშაოთა მექანიზაცია ძალიან ჩამორჩენილია სიმინდის სპეციალური სათესი მანქანების უქონლობით. განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში სიმინდის კულტურის სამუშაოთა მექანიზაცია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სასიმინდე ნიადაგის ხვნას, სრულებით არ ტარდება.

სიმინდის მწკრივად თესვა ხელით სწარმოებს, მწკრივთა შორის კულტივაცია ტარდება ხელის იარაღებით, ან უკეთეს შემთხვევაში ცხენწევის კულტივატორებით. მექანიზაციის გაუტარებლობა ხელს უწყობს როგორც თესვის, ისე ნათესების დამუშავების აგროტექნიკური ვადების დარღვევას, უარყოფით გავლენას ახდენს მოსავლიანობის ზრდაზე.

ცნობილია, რომ ხორბლის უნივერსალური სათესი მანქანით შესაძლებელია სიმინდის, სოიას, მზესუმზირას და მსგავსი კულტურათა თესლის თესვა მექანიკური დაზიანების გარეშე. ეს დადასტურდა საქართველოს ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის საცდელი სადგურის მიერ ჩატარებული ცდებით. გამოთესვაზე შემოწმებულ იქნა კაჟოვანას, აბაშის ყვითელი და აჯამეთის თეთრი სიმინდის ჯიშები.

სიმინდის სამუშაოთა მექანიზაციის დასაჩქარებლად. საჭიროა პირველ რიგში დასავლეთ საქართველოს მტს-ებში განსაზღვრული რაოდენობით შეტანილ იქნას 24 მწკრივიანი სათესები, რომლის დახმარებითაც გადაწყდება არა მარტო თესვის, არამედ კულტივაციის მექანიზაციაც. მწკრივად ნათესი სიმინდის კულტივაციისათვის გამოყენებულ უნდა იქნას მტს-ში არსებული კულტივატორი № 408 და კულტივატორი „უტკ“.

მექანიზაციის საცდელმა სადგურმა უკვე შეიმუშავა აღნიშნული მანქანების გამოყენების წესები, რომელთა მიხედვით საჭიროა ხორბლის 24 მწკრივიანი სათესები სიმინდის თესვისათვის გადაკეთდეს ოთხმწკრივიანებად. სათესების გადაკეთება იმდენად მარტივია, რომ თავისუფლად შეიძლება შესრულდეს ყოველ მტს-ში.

ხორბლის სათესები აღმოსავლეთ საქართველოს მტს-ებში დიდი რაოდენობით მოიპოვება, მაგრამ მათ მზესუმზირისა და სიმინდის თესვაზე დღემდე ნაკლებად იყენებდნენ. ეს ნაკლი სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. მექანიზებული წესით სიმინდის ნათესი ფართობის გადიდება საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ კულტივაციის მექანიზაციაც. საამისო გამოცდილება უკვე აქვს სიღნაღის რაიონის ულიანოვკის მტს-ს, რომელიც მექანიზებული წესით სიმინდის კულტივაციას და თესვას ათას ჰექტარებზე ატარებს.

სათოხნი კულტურების სამუშაოთა მაქსიმალური მექანიზაცია ხელს შეუწყობს კოლმეურნეობებს განთავისუფლებული მუშახელი გამოიყენონ სხვა სამუშაოებზე.

დოც. ი. ხოხლოვი

მექანიზაციის საცდელი სადგურის დირექტორი

ქ. ლეჟავა

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

საომარი ოპერაციები აფრიკაში

ლონდონი, 24 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ამჟამად ბრძოლაა დესთან. იტალიელებმა შესძლეს დაეკავებინათ მნიშვნელოვანი პოზიციები და გამაგრებულიყვნენ მთიან რაიონებში, რაც, ალბათ, ერთხანს შეაფერხებს ინგლისის საიმპერიო ჯარის შეტევას. კერენთან მომხდარი ბრძოლის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, რომ იტალიელები მედგარ წინააღმდეგობას გვიწევენ.

ნიუ-იორკი, 24 აპრილი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობით, ინგლისელები განუწყვეტლივ უშენენ ყუმბარას იტალია-გერმანიის ტრანსპორტებს ლიბიაში. ბარდიის მახლობლად ინგლისელებმა ტყვიამფრქვევის სროლით დიდი ზარალი მიაყენეს გერმანიის სატრანსპორტო კოლონას, რომელსაც წყალი, გაზოლინი და სხვა საომარი მასალა მიჰქონდა. ყუმბარებს უშენენ აგრეთვე გერმანიის მომარაგების ბაზას ბენგაზის რაიონში. ტობრუკიდან გამოხდომის დროს ინგლისის ჯარმა უკვე ხელთ იგდო 2 ათასი ტყვე, მათ შორის 200 გერმანელი.

ბერლინი, 24 აპრილი (საკდესი). უმაღლესი სარდლობა იუწყება: გუშინ გერმანიისა და იტალიის ავიაცია რამდენჯერმე დაესხა თავს ტობრუკს. ყუმბარების პირდაპირი მოხვედრით მწყობრიდან გამოყვანილია მოწინააღმდეგის მრავალი ტანკი, გაფანტულია ავტომობილების კოლონები და გამოწვეულია ხანძარი. ნავსადგურში სერიოზულად დაზიანდა მტრის გემები, ამასთან ერთი მათგანი ჩაიძირა. მომხდარი საჰაერო ბრძოლის დროს მოწინააღმდეგემ დაჰკარგა 6 თვითმფრინავი, გერმანიის ავიაციამ — 1.

რომი, 24 აპრილი (საკდესი). უმაღლესი სარდლობა იუწყება: ჩრდილოეთ აფრიკაში ინგლისელებმა ავიაციის დახმარებით განაახლეს ცდა გაერღვიათ ტობრუკის ალყის რკალი, რომელიც სულ უფროდაუფრო ვიწროვდება, მაგრამ იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, ამასთან იტალიის ჯარმა ხელთ იგდო ტყვეების მნიშვნელოვანი რაოდენობა და ავტომატური იარაღი.

აღმოსავლეთ აფრიკაში ინგლისის ჯარი განაგრძობდა იერიშს მიტანას დესის რაიონში, მაგრამ იტალიის ჯარის ნაწილებმა ყველა იერიში მოიგერიეს. მოტის რაიონში (ტანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით) საარტილერიო სროლა იყო.

ინგლისის საავიაციო ექსპერტი ინგლისისა და გერმანიის ავიაციის შესახებ

სტოკჰოლმი, 24 აპრილი (საკდესი). დღეს გაზეთი „სოციალდემოკრატენი“ აქვეყნებს ერთერთი გამოჩენილი ინგლისელი საავიაციო ექსპერტის, გაზეთ „ობსერვერის“ თანამშრომლის, მაიორ სტიუარტის მიერ მიცემულ ინტერვიუს.

„გერმანიის ავიაცია წინანდებურად ძლიერია ინგლისის ავიაციაზე, — განაცხადა სტიუარტმა. — ინგლისი გერმანიას უმთავრესად ყუმბარმშენთა რაოდენობის მხრივ ჩამორჩება, მაგრამ მიმდინარე წლის დამლევს იგი მას გაუსწრებს“. თვითმფრინავთა წარმოება ინგლისში გრძელდება, ისე რომ მას სერიოზული დაბრკოლება არ ელობება. ამერიკის შეერთებული შტატებიდან უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში საშუალოდ 250-მდე თვითმფრინავი მოდიოდა თვეში, ამასთან მომავალში მოსალოდნელია მიწოდების ტემპების მნიშვნელოვნად გადიდება. რაც შეეხება ავიაგამანადგურებლებს, ამ მხრივ ინგლისის მდგომარეობა ახლა უკვე დამაკმაყოფილებელია.

ამჟამად ინგლისს ყველაზე მეტად სჭირდება მძიმე ყუმბარმშენები. საჭირო არ არის, რომ ეს თვითმფრინავები გემებით გადმოიზიდონ ატლანტის ოკეანეზე. ყუმბარმშენთა მეტი ნაწილი საჰაერო გზით იგზავნება.

სტიუარტმა განაცხადა, რომ ინგლისელები ამჟამად ახალი ტიპის ყუმბარებს ხმარობენ, რომლებიც გერმანულ ყუმბარებზე უფრო ეფექტურია; მაგრამ მათი რაოდენობა არც ისე დიდია, რადგან წარმოება ეს-ეს არის დაიწყო და ამ ყუმბარების მასობრივად დამზადებისათვის საჭიროა გარკვეული დრო.

ხმელთაშუა ზღვაში ავიაციის როლის შესახებ სტიუარტმა აღნიშნა, რომ საბერძნეთის ფრონტზე გერმანიის ავიაცია ამჟამად მნიშვნელოვნად აღემატება ინგლისისას, მაგრამ ინგლისის ავიაცია ხმელთაშუა ზღვაში განუწყვეტლივ ძლიერდება ძირითადად ინგლისიდან თვითმფრინავების გაგზავნის გზით.

ლა გარდიას განცხადება

ნიუ-იორკი, 24 აპრილი (საკდესი). კანადიენ პრესის სააგენტოს ცნობით, ა. შ. შტატებისა და კანადის თავდაცვის შეერთებული სამმართველოს თავმჯდომარემ, ქალაქ ნიუ-იორკის მერმა ლა გარდიამ განაცხადა, რომ ა. შ. შტატები და კანადა მზად არიან დაიცვან ჩრდილოეთ ამერიკის სანაპირო ხაზი და ჩრდილოეთ ამერიკის მომიჯნავე წყლები სანაპიროდან 1450 კილომეტრზე.

კარგად ინფორმირებული წრეები კომენტარს უკეთებენ ლა გარდიას განცხადებას და აღნიშნავენ, რომ ინგლისი და კანადა სავაჭრო გემების ბადრაგობას აღარ გასწევენ ატლანტის ოკეანის დასავლეთ ნაწილში. ალბათ, ა. შ. შტატები ატლანტის ოკეანის საზღვაო საჰაერო პატრულობას დააწესებენ დასავლეთის ნახევარსფეროს საზღვრამდე. პატრულობა იგივე იქნება, რაც ბადრაგობა ინგლისის გემებისა შუა ატლანტის ოკეანემდე, საიდანაც მათ უბადრაგებენ ინგლისის სამხედრო ხომალდები.

მენზისის განცხადება ბლემის დანიშვნის შესახებ

ლონდონი, 24 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ბლემის ახალ დანიშვნასთან დაკავშირებით, ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა მენზისმა სიტყვა წარმოსთქვა რადიოთი. მენზისმა ხაზგასმით აღნიშნა ავსტრალიის დიდი ინტერესები და ვალდებულებანი ახლო აღმოსავლეთში და განაცხადა, რომ ამ რამდენიმე ხნის წინათ მან ინგლისის გენერალურ შტაბთან განიხილა ახლო აღმოსავლეთში მყოფი ავსტრალიის ჯარის ნაწილთა სარდლის ბლემის უნარიანობის უფრო სრულად გამოყენების შესაძლებლობა. უეიველის მოადგილედ ბლემის დანიშვნას ავსტრალიაში კმაყოფილებით შეხვდებიან; ეს დანიშვნა უზრუნველჰყოფს ავსტრალიის წარმომადგენლის უშუალო მონაწილეობას იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომელთაც ავსტრალიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ.

სოფლის მეურნეობის მდგომარეობა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 24 აპრილი (საკდესი). 1940 წლის აღწერის წინასწარი ცნობები მოწმობენ, რომ ამერიკის სოფლის მეურნეობამ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში დიდი დეგრადაცია განიცადა. ამ ხნის განმავლობაში ფერმერთა საკუთრების ღირებულება თითქმის 30 პროცენტით შემცირდა. ფერმერთა რიცხვმა იკლო, გაძლიერდა მიწის საკუთრების კონცენტრაცია და მიწებიდან მოიჯარე ფერმერების გამოდევნა, განსაკუთრებით სამხრეთ შტატებში, სადაც ბლომად არის ბამბის პლანტაციები. აღწერის ცნობებით, ამერიკის შეერთებული შტატების ფერმერი მოსახლეობა 1940 წელს შეადგენდა 30.475 ათას კაცს, 1930 წელს კი 30.445 ათასი კაცი იყო. 1940 წელს ფერმერი მოსახლეობა უდრიდა ამერიკის შეერთებული შტატების მთელი მოსახლეობის 23 პროცენტს. 1930 წელს—25 პროცენტს, 1920 წელს კი—30 პროცენტს. აღწერის ბიუროს ხელმძღვანელებმა აღიარეს, რომ ფერმერი მოსახლეობის ზრდის შემცირების მთავარი მიზეზია აგრარული კრიზისი.

ფერმების საერთო რიცხვი ამერიკის შეერთებულ შტატებში 1940 წელს შეადგენდა 6.096 ათასს, 1930 წელს კი—6.288 ათასს. მიწის საკუთრების კონცენტრაცია რომ გადიდდა, ამას შემდეგი ცნობები მოწმობენ. ფერმის საშუალო სიდიდე 1940 წელს უდრიდა 174 აკრ მიწას, 1930 წელს კი — 157 აკრს. ისეთი ფერმების რაოდენობა, რომელთაგან თვითეულს 500 აკრზე მეტი მიწის ფართობი აქვს, მთელი ფერმების 5 პროცენტზე ნაკლებს შეადგენს, მაგრამ ისინი ფერმერთა მთელი მიწის თითქმის ნახევარს ჰფლობენ. 1940 წელს 100.531 ფერმას, რომელთაგან თვითეული 1.000-ზე მეტ აკრ მიწის ფართობს ჰფლობდა, 360 მილიონი აკრი მიწა ჰქონდა. 1930 წელს იყო 80.620 ასეთი ფერმა; ისინი 276 მილიონ აკრს მიწას ჰფლობდნენ. ფერმერთა მიწების საერთო ფართობი 1940 წელს შეადგენდა 1.061 მილიონ აკრს, 1930 წელს კი — 987 მილიონ აკრს. ფერმერთა მიწებისა და ნაგებობათა ღირებულების შესახებ ცნობები ფერმერთა მდგომარეობის გაუარესებას მოწმობენ. 1940 წელს ფერმერთა მიწებისა და ნაგებობათა ღირებულება შეფასებული იყო 33.644 მილიონ დოლარად, 1930 წელს კი — 47.880 მილიონ დოლარად და 1920 წელს — 66.316 მილიონ დოლარად. აღწერის ცნობებით, 1940 წელს ყველა ფერმერის 38,7 პროცენტი მოიჯარე იყო. 1930 წელს მოიჯარენი 42,4 პროცენტს შეადგენდნენ. მაგრამ მოიჯარეთა რიცხვის შემცირება სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებას როდი მოწმობს. ეს შემცირება უმთავრესად იმის შედეგად მოხდა, რომ მიწებიდან განდევნილ იქნენ მოიჯარენი და მოზიარენი, განსაკუთრებით ბამბეულის სამხრეთ შტატებში, სადაც კრიზისის პერიოდში პლანტაციების მესაკუთრენი მოიჯარეების ნაცვლად მუშებს ქირაობდნენ, რომლებსაც მეტად მცირე ხელფასს აძლევდნენ. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის გადიდებამაც—ხელი შეუწყო მოიჯარეთა გამოდევნას. 1930 წ. 1940 წლამდე მოიჯარეთა რიცხვი სამხრეთის 16 შტატში 1.791 ათასიდან 1.449 ათასამდე შემცირდა. ისეთი ფერმების რიცხვი, რომელთაგან თვითეულს 20-დან 49 აკრამდე მიწის ფართობი აქვს, სამხრეთ შტატებში 22 პროცენტზე მეტად შემცირდა, პირიქით, შუა დასავლეთის ზოგიერთ შტატში მოიჯარეთა რიცხვი გადიდდა, აქ ბევრი ფერმერი გაჩანაგდა და მოიჯარედ გადაიქცა.

ჩრდილოეთი კაროლინის შტატის უნივერსიტეტმა ამ ცოტა ხნის წინათ გამოაქვეყნა წიგნი იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში არიან მოიჯარენი სამხრეთ შტატებში. ამ წიგნში, რომელიც გამოვიდა სათაურით „ყველაფრის მოზიარენი“ მოცემულია სამხრეთი შტატების სოფლის მეურნეობის მოსახლეობის სიღარიბისა და სიღატაკის სურათი. მოსახლეობაში ფართოდ არის გავრცელებული პელაგრა და სხვა სნეულებანი — შიმშილის თანამგზავრნი. მოსახლეობას სამედიცინო მომსახურება თითქმის არ ეწევა. მოიჯარენი და მოზიარენი პრიმიტიული სასოფლო-სამეურნეო იარაღებით სარგებლობენ. ბევრ გაღარიბებულ მებამბეს საშუალება არა აქვს ბამბეულის თოვილი შეისყიდოს. ამ შტატებში ძალიან ცოტაა სკოლა, განსაკუთრებით ზანგებისათვის. მოიჯარენი და მოზიარენი ფაქტიურად მოკლებული არიან საარჩევნო უფლებებს. წიგნში აღნიშნულია, რომ გაჩანაგებულ მოიჯარეთა და მოზიარეთა უმრავლესობა იძულებულია იმუშაოს სეზონურ სასოფლო-სამეურნეო მუშად და მეტად მცირე ხელფასს დასჯერდეს, ან ქალაქებში ეძიოს სამუშაო. მიწის მძევლი მესაკუთრენი დაუნდობელ ექსპლუატაციას უწევენ დარჩენილ მოიჯარეებსა და მოზიარეებს, უკანასკნელნი მუდამ ვალში არიან და მხოლოდ იმდენი რჩებათ, რომ ძლივსძლივობით ირჩენენ არსებობას.

პარტიული ცხოვრება

კომუნისტთა მაღალი აქტივობით

ბათუმი („კომუნისტის“ კორ.). პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები კომუნისტთა დიდი აქტივობით მიმდინარეობს.

საქპურტრესტის აჭარის განყოფილების პირველადი პარტორგანიზაციის კრება დანიშნულ დროზე დაიწყო. 33 კომუნისტიდან კრებას 3 პარტკანდიდატი არ დასწრებია. პარტბიუროს მდივნის ამხ. ან. მელქონიანის მოხსენება თვითკრიტიკული არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ მან მოხსენებას ერთ საათზე მეტი დრო მოანდომა, პარტბიუროს მუშაობის ნაკლოვანებებზე ძალიან ცოტა ილაპარაკა.

კრებაზე გამოირკვა, რომ პარტბიურო სუსტად მუშაობდა საანგარიშო პერიოდში, საჭირო დასკვნა ვერ გააკეთა ბათუმის საქალაქო პარტაქტივის კრების მითითებიდან, ვერ უზრუნველჰყო მუშაობის გაშლა საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის ისტორიულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის. ამის მიზეზი ის არის, რომ პურის საცხობ საწარმოებში დღემდე ადგილი აქვს ტექნოლოგიური პროცესებისა და სანიტარული დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს.

კამათში გამოსულმა კომუნისტებმა მკაცრად გააკრიტიკეს პარტბიუროს მუშაობა. ამხ. ბ. ფრეიჩკომ, ბ. ქურიძემ, ალ. შერბაკოვმა, თ. მეგენეიშვილმა, ა. ოგანოვმა, შ. თოდრიამ, ვ. გერცმანმა, ქ. იანუშკევიჩმა, ვ. ფრანგიშვილმა და სხვ. აღნიშნეს, რომ პარტორგანიზაციის კრებებზე მხოლოდ გეგმების შემსრულებელ საწარმოთა ხელმძღვანელების ანგარიშებს ისმენდნენ. ჩამორჩენილ საწარმოებს კი პარტორგანიზაცია დახმარებასა და ხელმძღვანელობას არ უწევდა.

აღინიშნა, რომ ზოგიერთი კომუნისტი, მათ რიცხვში ამხ. შ. დვალი, ლ. ქორიძე, ი. ზახარიანი, ზ. გონუკრევა და სხვ. სუსტად იბრძვიან იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

საქმიანი კრიტიკით გამოვიდა ამხ. ა. ოგანოვი, მან აღნიშნა, რომ პარტორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს სტახანოვურ მოძრაობას. — პურტრესტის საწარმოებში 1940 წელს გაფორმებული სოცშეჯიბრების ხელშეკრულების შესრულების შემოწმება,—ამბობს იგი,— დღემდე არ მომხდარა. ასევე სუსტად ხელმძღვანელობს პარტორგანიზაცია თავდაცვითს მუშაობას.

მოკამათეებმა არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის წამოაყენეს მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებანი.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი კადრების დარგში ამხ. გრ. მშეციანი.

კ. დობორჯგინიძე

პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე

ლენტეხი, (საქდესი). ქვემო სვანეთის პირველადს პარტორგანიზაციებში კომუნისტების დიდი აქტივობით მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კრებები. 20 აპრილისათვის არჩევნები ჩატარებულია 13 პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში. ამ ხნის განმავლობაში არა ყოფილა შემთხვევები კრების ჩაშლის ან გადადებისა.

ზოგ შემთხვევაში პარტორგანიზაციის მდივნები ვერ აგებენ თავის მოხსენებებს ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე. მაგალითად, ლენტეხის ტერიტორიული პირველადი პარტიული ორგანიზაციის საარჩევნო კრება 15 აპრილს 7 საათისათვის იქნა დანიშნული, მაგრამ 2 საათის დაგვიანებით დაიწყო. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ი. ლიპარტელიანი. მისი მოხსენება არ იყო სრული, ის ზოგადად შეეხო ისეთ ძირითად საკითხებს, როგორიცაა პარტკანდიდატებთან მუშაობა, გამოტანილ დადგენილებათა შესრულების შემოწმება, პარტიულ დავალებათა შესრულების მიმდინარეობა. მკრთალად ილაპარაკა აგრეთვე 26 ივნისის ბრძანებულების ცხოვრებაში გატარებისა და საყოველთაო სავალდებულო სწავლების მიმდინარეობის შესახებ. მოხსენების გამო კამათში 9 ამხანაგი გამოვიდა. კამათის შედეგად გამოირკვა, რომ პარტორგანიზაცია არასაკმაო დახმარებას უწევს ლექსურის ახლადჩამოყალიბებულ კოლმეურნეობას შრომის სწორი ორგანიზაციის საქმეში. ხშირი იყო შემთხვევები მოუმზადებელი კრებების ჩატარებისა.

კრებამ პარტორგანიზაციის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა. პარტორგანიზაციის მდივნად არჩეულია ამხ. ლიპარტელიანი, ხოლო მოადგილედ — ამხ. ს. გუგავა.

ღრმად დავეუფლოთ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას

წნორის საშუალო სკოლის პირველადს პარტორგანიზაციაში საანგარიშო-საარჩევნო კრებას ყველა კომუნისტი დაესწრო.

პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ნინო ვარამაშვილმა საანგარიშო მოხსენება 40 წუთში ამოსწურა. მან საკმაოდ ილაპარაკა კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების, სკოლებში დისციპლინის მდგომარეობისა და მოსწავლეთა აკადემიური წარმატებულობის ამაღლების, საგიტაციო მუშაობის, კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის და სხვა საკითხზე.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 10 ამხანაგმა. მოკამათეთა სიტყვებიდან გამოირკვა, რომ პარტორგანიზაცია საკმაო ხელმძღვანელობას არ უწევდა კომკავშირისა და პიონერთა ორგანიზაციებს, კომკავშირელმა მასწავლებლებმა მამუკელაშვილმა და გაწერელიამ დაარღვიეს შრომის დისციპლინა, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ა. კიკილაშვილი ხულიგნობისათვის გარიცხულ იქნა კომკავშირის ორგანიზაციიდან, არის შემთხვევები, რომ სკოლაში მოსწავლენიც დისციპლინას არღვევენ და მასწავლებლების მიმართ წესიერად არ იქცევიან.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანი ამხ. ი. ჩინჩალაძე. მან აღნიშნა პარტრაიკომის არასაკმაო ხელმძღვანელობა ამ ორგანიზაციისადმი და აგრეთვე მიუთითა სკოლის პარტიულ ორგანიზაციას არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებაზე.

კრებამ პარტორგანიზაციის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და დასახა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი შემდგომი მუშაობისათვის.

პარტორგანიზაციის მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ნინო ვარამაშვილი.

ზ. ტუხაშვილი

პარტბიურო არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა

კრების დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, საანგარიშო მოხსენებისათვის თავმჯდომარემ სიტყვა ბაქტერიოფაგის ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანს ამხ. პეტერსენს მისცა.

მოხსენება ერთფეროვანი გამოვიდა:

— პარტორგანიზაციის ზრდისა და პარტიაში ახალმიღებულთა შორის მუშაობის საკითხებზე ბიურო სუსტად მუშაობდა...

— პარტიული პროპაგანდა სუსტად იყო დაყენებული.

— არ მოწყობილა თეორიული კონფერენციები, არ ჩატარებულა კონსულტაციები, არ მომხდარა კომუნისტებთან გასაუბრება თეორიულ საკითხებზე, ჩვენი ორგანიზაციის წევრები არ ესწრებოდნენ პარტიის თბილისის კომიტეტისა და რაიკომის მიერ მოწყობილ ლექციებს...

— 35 პარტწევრ-კანდიდატიდან მხოლოდ ორმა დაამთავრა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა...

— სუსტად ვეხმარებით კომკავშირსა და პროფორგანიზაციას, არადამაკმაყოფილებლად ვიბრძოდით შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, ჩვენთან ფაქტიურად არ იყო გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება და სტახანოვური მოძრაობა...

პარტორგანიზაცია ჯერ კიდევ ვერ ჩაუდგა სათავეში XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლას. გეგმების შესრულებაში დაცული არ არის გრაფიკი, ადგილი აქვს პროდუქციის არათანაბარ გამოშვებას. 1941 წლის პირველი კვარტალის გეგმა არ შესრულდა. აპრილის დავალებაც ვერ სრულდება. ჯერ კიდევ სუსტად ვიბრძვით XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

უფრო მეტიც. პარტბიუროს წევრებმა ვერ გამოიჩინეს ბოლშევიკური შეტევითი სიფხიზლე, რომ დროზე ემხილებინათ თაღლითები და ბოროტმოქმედნი, რომლებიც ამ ინსტიტუტში კარგა ხანს ისხდნენ ხელმძღვანელებად საპასუხისმგებლო უბნებზე და ანტისახელმწიფოებრივ მუშაობას ეწეოდნენ.

პარტორგანიზაციის წევრებმა მხოლოდ ახლა, საანგარიშო კრებაზე გამოამჟღავნეს პარტბიუროს სუსტი მუშაობა, ცალკეული კომუნისტების შეუფერებელი საქციელი.

კამათში გამოსულმა ამხ. ბეგიჯანოვმა განაცხადა: ჩვენთან გამეფებული იყო შინაურულობა, ნაკლოვანებებზე არავინ არ ლაპარაკობდა.

— ახლა, როდესაც პარტორგანიზაციების ბიუროები XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში მიღწეულ წარმატებებზე ანგარიშს აბარებენ, — განაცხადა ამხ. ქილარჯიშვილმა, — ჩვენი პარტორგანიზაციის ბიურომ თავისი სუსტი და არადამაკმაყოფილებელი მუშაობის სამარცხვინო ანგარიში ჩაგვაბარა დღეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კარგი რა უნდა ვთქვათ ჩვენს საქმიანობაზე, როდესაც I კვარტალის გეგმა მხოლოდ 50 პროცენტით შევასრულეთ!

კამათში 11 კომუნისტი გამოვიდა. მათ სიტყვებში საკმაოდ იყო სხვების კრიტიკა, ხოლო თვითკრიტიკა — ნაკლები.

პარტორგანიზაციის სუსტ მუშაობაზე, ცალკეულ კომუნისტთა უდარდელობაზე და უახლოეს ხანში პარტიული მუშაობის გარდაქმნის ამოცანებზე ილაპარაკა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანმა ამხ. პ. მჭედლიძემ.

კრებამ პარტბიუროს განვლილი მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ჩასთვალა.

პარტბიუროს ახალ შემადგენლობაში არჩეულ იქნა 5 ამხანაგი. პარტბიუროს მდივნად აირჩიეს ამხ. გ. ბახტაძე.

არ. კოკილაშვილი

მილიონერი კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე

წითელწყარო („კომუნისტის“ კორ.). ამ დღეებში ჩატარდა საანგარიშო-საარჩევნო კრება სოფ. არბოშიკის მილიონერ კოლმეურნეობა „წითელ არბოშიკთან“ არსებულ პირველადს პარტორგანიზაციაში. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ვ. ალადაშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდა და გაიზარდა კოლმეურნეობა, გაუმჯობესდა პარტორგანიზაციის კონტროლი სამეურნეო საქმიანობაზე.

მომხსენებელმა მიღწევებთან ერთად ილაპარაკა ნაკლოვანებებზე. მან აღნიშნა, რომ პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობა ჯერ კიდევ არასაკმაოა. კოლმეურნეობაში ნაკლები ყურადღება ექცევა სტახანოველთა და მოწინავე კოლმეურნეთა გამოვლინებას, არ ზრუნავენ მათ დაწინაურებაზე და სხვ.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: გ. დათუკიშვილმა, ი. ალადაშვილმა, მ. ალადაშვილმა, მ. სეფიაშვილმა და სხვებმა.

მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაცია სუსტად ხელმძღვანელობდა საკოლმეურნეო კედლის გაზეთის მუშაობას, რის შედეგად გაზეთი მხოლოდ საზეიმო დღეებში გამოდის. აგიტატორებს სუსტად ხელმძღვანელობდა პარტიული ორგანიზაცია. იგი აგრეთვე სუსტ დახმარებას უწევდა კომკავშირს.

გამოირკვა ისიც, რომ ზოგიერთი კომუნისტი თავს არიდებს საკოლმეურნეო შრომას. მაგალითად, კომუნისტები ქრისტინე ჯამალაშვილი, მანანა სეფიაშვილი და მარო კერვალიძე იშვიათად გამოდიან საკოლმეურნეო სამუშაოზე. მათ მიმდინარე წელს მხოლოდ ათ-ათი შრომადღე აქვთ გამომუშავებული, პარტიული ორგანიზაცია კი ზომებს არ იღებს. კომუნისტებმა აგრეთვე ილაპარაკეს საკოლმეურნეო მანქანა-იარაღების ცუდ მოვლა-პატრონობაზე, პარტიისა და მთავრობის 1941 წლის 13 მარტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე და სხვ.

კრებამ პარტბიუროს განვლილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა.

პარტბიუროს მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ვ. ალადაშვილი.

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. ჩარაევი (მარჯვნიდან) ესაუბრება საამქროების უფროსებს ს. ნოვიკს, მ. ხატიევს, შ. დუიშვილს და შ. ნანუას საწარმოო გრაფიკით მუშაობის საკითხზე.

ფოტო რ. აკოფოვისა.

რიტმიული მუშაობის დანერგვისათვის

კასპი („კომუნისტის“ კორ.). პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებას 105 კომუნისტი დაესწრო. კრება 1 საათის დაგვიანებით დაიწყო. პარტბიუროს მდივნის ამხ. ვ. მაჭარაშვილის საანგარიშო მოხსენება თვითკრიტიკული იყო. გაცხოველებულ კამათში, რომელიც მიმართული იყო საანგარიშო პერიოდში პარტბიუროს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა მხილებისაკენ, 13 კომუნისტმა მიიღო მონაწილეობა. კომუნისტები ამხელდნენ პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებს, აყენებდნენ წინადადებებს შემდგომი მუშაობისათვის.

ამხ. ზ. ქართველიშვილმა ბოლშევიკურად გააკრიტიკა პარტბიუროს მუშაობა, მის მიმართ საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის არასაკმაო ხელმძღვანელობა და დახმარება, რის შედეგადაც კასპის ცემენტის ქარხანამ 1940 წლის საწარმოო გეგმა ვერ შეასრულა.

ამხ. ვ. გორგიშელმა და ივ. გეჯაძემ მკაცრად გააკრიტიკეს პარტბიუროს წევრთა (ვ. მამულაშვილი, შ. ტაბატაძე და სხვ.) სუსტი მუშაობა.

ქარხანაში მომუშავე კომუნისტებს შორის არიან მცირემცოდნენი, მაგრამ პარტბიურო მათ არავითარ დახმარებას არ უწევდა. მათდამი „დახმარება“ პარტბიურომ იმით განსაზღვრა, რომ 9 მცირემცოდნე კომუნისტს პარტიული დავალებები არ მისცა. ამაზე ილაპარაკა კამათში გამოსულმა ამხ. გ. მაჩაბელმა.

მომხსენებელთან ერთად, მოკამათეებმა ამხ. მ. ბაინდურაშვილმა, ვ. ჯარმელაშვილმა, ვ. მამულაშვილმა და ბ. მესხმა ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ სრულდება ქარხანაში XVIII პარტიული კონფერენციის ისტორიული გადაწყვეტილებები.

ცემენტის ქარხანაში ჯერ კიდევ ვერ დაამყარეს სისუფთავე. თვით ქარხნის შესასვლელში ნაგავი ჰყრია. მართალია გამოწვის საამქრომ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა 107 პროცენტით შეასრულა, დაფქვის საამქრომ — 113 პროცენტით, კირქვის კარიერმა — 135 პროცენტით და სატრანსპორტო განყოფილებამ —112 პროცენტით, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ იქნა მიღწეული თანაბარი ტემპით მუშაობა, კვლავ თავს იჩენს იერიშობანა: აპრილში ქარხანამ პირველი დეკადის გეგმა 112 პროცენტით შეასრულა, მეორე დეკადისა კი — 130 პროცენტით. მესამე დეკადის გეგმის შესრულება, როგორც ქარხნის დირექტორმა კრებაზე განაცხადა, შეიძლება აყვანილ იქნას მხოლოდ 60 პროცენტამდე; ყოველდღიური დავალება ამჟამად არ სრულდება.

ქარხანაში ირღვევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულება. მიმდინარე წლის იანვრიდან 17 აპრილამდე 32 კაცმა დაიგვიანა 20 წუთამდე, 11 კაცმა სამუშაო გააცდინა, ხოლო 3 კაცმა მიატოვა სამუშაო. სამწუხაროდ, შრომის დეზორგანიზატორებს შორის არიან კომუნისტები და კომკავშირელები.

ცემენტის ქარხნის კომკავშირული ორგანიზაცია სუსტად მუშაობს. ადგილი ჰქონდა კომკავშირული კრებების ჩაშლას, კომკავშირელები არ ეუფლებიან ბოლშევიზმს, არღვევენ შრომის დისციპლინას, სუსტად მონაწილეობენ თავდაცვითს მუშაობაში (109 კომკავშირელიდან თავდაცვა-ავიაქიმის წევრია მხოლოდ 33 კომკავშირელი). პარტბიუროს დღემდე თავიდან ვერ მოუშორებია კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის უვარგისი პრაქტიკა: კომკავშირის კომიტეტზე მიმაგრებულია ერთი კაცი, ასევე, საამქროების პარტორგანიზაციათა მდივნები მიმაგრებულთა საშუალებით ახორციელებენ საამქროს კომკავშირულ ორგანიზაციებზე ხელმძღვანელობას. სამწუხაროდ, საანგარიშო კრებაზე კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის ეს დაგმობილი პრაქტიკა არავის გაუკრიტიკებია. საანგარიშო მოხსენებაში კი იგი ჩაწერილია, როგორც კომკავშირისადმი კარგი ხელმძღვანელობის მაგალითი.

საანგარიშო კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანი ამხ. გ. შაყულაშვილი.

კრებამ პარტბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო. პარტბიუროს შემადგენლობაში არჩეულ იქნა 6 კაცი. პარტბიუროს მდივნად კვლავ ვ. მაჭარაშვილი აირჩიეს.

ს. ყურაშვილი

რა გამორჩა მომხსენებელს

საქ. სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება დანიშნულ დროზე დაიწყო. პარტორგანიზაციის განვლილი მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა პარტბიუროს მდივანმა ამხ. ლ. ვათეიშვილმა.

მომხსენებელს თითქმის არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ როგორ იბრძოდა პარტორგანიზაცია საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, იუსტიციის სახალხო კომისარიატის აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ბიუროკრატიზმის აღმოფხვრისათვის და მშრომელთა საჩივრებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების დანერგვისათვის. მოხსენებაში უმთავრესად ლაპარაკი იყო ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მუშაობაზე, პარტიულ დავალებათა განაწილებაზე და ა. შ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი კომუნისტი პარტიული დავალების შესრულებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას იჩენდა. მაგალითად, კედლის გაზეთი, რომლის რედაქტორად ამხ. აჯიბეგაშვილი მუშაობდა, სამი თვის განმავლობაში არ გამოსულა. აგიტატორები ამხ. ავალოვი, მახარაძე და სხვ. დიასახლისთა შორის საგიტაციო მუშაობას არ ეწევიან.

საანგარიშო პერიოდში პარტბიუროს კომუნისტებს შორის საგრძნობი მუშაობა გაუწევია ბოლშევიზმის ისტორიის დაუფლებისათვის. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ დამოუკიდებლად შემსწავლელთა დასახმარებლად ეწყობოდა კონსულტაციები, ლექციები და ექსკურსიები. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ამხანაგი არასერიოზულად ეკიდება ჩვენი პარტიის გმირული ისტორიის შესწავლას. მაგალითად, ამხ. შახიჯანოვი, კოჩაროვი და სხვ. ჯერაც არ შესდგომიან „მოკლე კურსის“ საფუძვლიანად შესწავლას.

საანგარიშო მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 10 ამხანაგმა.

ამხ. შენგელიამ, ბატიაშვილმა და მელაძემ აღნიშნეს, რომ პარტბიურო სათანადო ხელმძღვანელობას არ უწევდა კომკავშირის ორგანიზაციას, რის გამო მისი მუშაობა მოისუსტებს.

ამხ. ა. ჩხეტიანმა აღნიშნა, რომ ძირეულ სასამართლო ორგანოებს სახ. კომისარიატი ჯერ კიდევ სათანადო დახმარებას არ უწევს, ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ბიუროკრატიზმის ელემენტები, რის წინააღმდეგაც პარტბიურო საკმაოდ არ იბრძოდა. ბიუროს ახალმა შემადგენლობამ ამას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს.

პარტბიუროს განვლილი მუშაობა საანგარიშო-საარჩევნო კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო და შემდგომი მუშაობის უკეთ წარმართვისათვის ახალ ბიუროს დაუსახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

პარტბიუროს ახალ შემადგენლობაში არჩეულ იქნა 5 კაცი. პარტბიუროს მდივნად არჩეულია ამხ. ლ. ვათეიშვილი.

ელ. ჩიტიშვილი

რკინიგზის შორაპნის კვანძის პარტორგანიზაციის კრება

ზესტაფონი („კომუნისტის“ კორ.). რკინიგზის შორაპნის კვანძის სავაგონო დეპოს პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე პარტბიუროს მდივანმა ამხ. ტ. სახვაძემ ილაპარაკა საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ მუშაობაზე, აღნიშნა მიღწევები და ნაკლოვანებები, მაგრამ თითქმის არაფერი უთქვამს კომუნისტთა ავანგარდულ როლზე წარმოებაში, ზოგადად შეეხო აგიტაცია-პროპაგანდის საკითხებს.

პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ყველა კონკრეტულ საკითხზე დაწვრილებით ლაპარაკობდნენ კამათში გამოსული კომუნისტები.

პარტიული ორგანიზაცია საწარმოო მუშაობის ყველა საკითხს არ აქცევდა სათანადო ყურადღებას, — აღნიშნა ამხ. ე. კვატაიამ. ადგილი ჰქონდა შრომის დისციპლინის დარღვევას, ცალკე მუშაკები სათანადოდ არ იცავდნენ ტექნიკური ექსპლოატაციის წესებს. პარტბიუროს აღნიშნული საკითხი არ შეუსწავლია და იგი მსჯელობის საგნად არ გაუხდია.

კომუნისტი, სავაგონო დეპოს უფროსი ამხ. ა. გიორგაძე დაწვრილებით შეჩერდა საწარმოოს მუშაობაზე. აღნიშნა, რომ კომუნისტები მოწინავეთა რიგებში დგანან, გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს. დეპოში მომუშავე კომუნისტების 97 პროცენტი სტახანოველებია. ამხ. გიორგაძემ ილაპარაკა საწარმოო საქმიანობაში პარტიული ორგანიზაციის მონაწილეობის შესახებ. პარტიული კრება ხშირად იხილავდა საწარმოო საკითხებს, მაგრამ მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება ერთხელაც არ მოუხდენიათ. პარტბიუროს მდივანი ამხ. სახვაძე პარტიული კრების დადგენილებებს დეპოს უფროსს და საამქროების ხელმძღვანელებს ერთი თვის - თვენახევრის დაგვიანებით უგზავნიდა.

ამხ. ელისაშვილი შეეხო პროპაგანდისტული მუშაობის საკითხებს. აღნიშნა, რომ პარტბიუროს მდივანი ხშირად არ ესაუბრებოდა კომუნისტებს, არ უწევდა პრაქტიკულ დახმარებას, პარტიის წევრები იშვიათად ესწრებოდნენ ლექციებსა და კონსულტაციებს. პარტიის 12 წევრი პარტიის ისტორიის სახელმძღვანელოს 1-2 თავის შესწავლას არ გასცილებია. პარტბიუროს წევრს ამხ. ცუცქირიძეს კი დღემდე „მოკლე კურსის“ არცერთი თავი არა აქვს შესწავლილი.

კამათში გამოსული ყველა 12 ამხანაგი მიუთითებდა პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ნაკლოვანებებზე, მათი გამოსწორების ღონისძიებებზე.

კრებამ პარტორგანიზაციის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო. პარტბიუროს მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ი. გობაძე.

შ. დიდია

შ. სამხარაძე — საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების საგიტაციო სექტორის გამგე

ბოლშევიკური აგიტაციისათვის

პოლიტიკური აგიტაცია ყოველთვის იყო და არის ჩვენი პარტიის მძლავრი იარაღი მასების დარაზმვის საქმეში. ბოლშევიკური სიმართლით აღსავსე აგიტაცია რაზმავს ჩვენი ქვეყნის მშრომელებს, რათა წარმატებით გადასჭრან მათ წინაშე მდგომი საბრძოლო ამოცანები.

ამჟამად, როცა სწარმოებს მეორე მსოფლიო იმპერიალისტური ომი, ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას ამოცანა — ყოველთვის ვიყოთ საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში, ვნერგავდეთ მასებში ბოლშევიკურ სიფხიზლეს, ვზრდიდეთ თვითეულ საბჭოთა მოქალაქეს ჩვენი სამშობლოსადმი პატრიოტული სულისკვეთებით და ვაღვივებდეთ მათში კომუნიზმის საქმისადმი თავდადებასა და სიყვარულს.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციამ კონკრეტული საბრძოლო ამოცანები დაუსახა წარმოებისა და ტრანსპორტის პარტიულ ორგანიზაციებს მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელება თვითეული ჩვენი მუშაკისაგან უფრო ენერგიულ და მუყაით მუშაობას მოითხოვს. პარტკონფერენციის გადაწყვეტილებანი პირნათლად რომ შევასრულოთ, საჭიროა მისი შინაარსი საფუძვლიანად განვუმარტოთ მასებს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების გატარებამ წესრიგი დაამყარა ჩვენს საწარმოებში, მაგრამ ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ფაბრიკა-ქარხანაში საქმე ჯერ კიდევ მთლიანად არ არის მოწესრიგებული. ადგილი აქვს დაგვიანებისა და სამუშაოს გაცდენის შემთხვევებს, წუნდებული და უხარისხო პროდუქციის გამოშვების ფაქტებს. ამის ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამ ფაბრიკა-ქარხნებში მასობრივ-პოლიტიკური აგიტაცია სათანადო სიმაღლეზე არ არის დაყენებული.

თბილისის რადიოქარხნის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ამხ. ნოსიკოვი) არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს საგიტაციო მუშაობას. აქ, ამ ქარხანაში, მთელი რიგი აგიტატორები არ ატარებენ საუბრებს, არ აცნობენ მუშებს XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებს. აგიტატორად გამოყოფილი შახმამედოვი მთავარ სამექანიკო განყოფილებაში აგიტაციას მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე ატარებს, ხოლო აგიტატორები მაღლიანი, ზონენაშვილი, მედვედევი და სხვ. უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან დაკისრებულ საპატიო მოვალეობას. მოუმზადებელი ცხადდებიან საუბრის ჩასატარებლად.

ამავე პარტიული ორგანიზაციის მიერ აგიტატორებად გამოყოფილმა მარსაგიშვილმა, ბელმანმა და მედვედევმა მთლიანად შესწყვიტეს საგიტაციო მუშაობა დიასახლისებთან ყოფილ საარჩევნო უბნებში. რადიოქარხანაში გამოდის ყოველთვიური კედლის გაზეთი „რადიოსტროის“ სახელწოდებით, მაგრამ ამ გაზეთში სუსტად შუქდება საგიტაციო მუშაობის საკითხები. კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიამ დღემდე ვერ გარდაჰქმნა თავისი მუშაობა XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. ამის ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ქარხნის პარტიულ ორგანიზაციას უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ერთხელაც არ განუხილავს კედლის გაზეთის მუშაობის საკითხი.

ასეთივე მდგომარეობაა საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატში. აქ კედლის გაზეთში უკანასკნელი ხუთი თვის მანძილზე ერთი წერილიც არ მოუთავსებიათ საგიტაციო მუშაობის შესახებ. აგიტატორებმა, რომლებიც ცალკე სამმართველოებში არიან გამოყოფილი, არადამაკმაყოფილებლად გააცნეს ამხანაგებს XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებები. აგიტატორ ქვანტალიანს, რომელიც ამავე კომისარიატის საგეგმო-საფინანსო განყოფილებაში მუშაობს, დღემდე საუბარი ჩატარებული აქვს 4-ჯერ. აქედან XVIII პარტკონფერენციის მასალებზე მან მხოლოდ ერთხელ ჩაატარა 30 წუთიანი საუბარი. საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატში თითქმის ყველა აგიტატორი უპასუხისმგებლოდ ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას. ეს აიხსნება იმით, რომ პარტბიუროს მდივანს ამხ. კობერიძეს 1940 წლის 26 სექტემბრის შემდეგ საგიტაციო მუშაობის საკითხები არ განუხილავს პარტორგანიზაციის სხდომაზე, არ იცნობს აგიტატორთა მუშაობას და მათ სათანადო დახმარებას არ უწევს.

ზოგიერთი აგიტატორი კარგად არ იცნობს მოცემულ საწარმოს, რის გამო სათანადოდ ვერ უკავშირებს კონფერენციის გადაწყვეტილებებს ადგილობრივ ცხოვრებას. საქტრიკოტაჟის ფაბრიკაში აგიტატორმა ხაჩატუროვამ ანალიზი ვერ გაუკეთა იმას, თუ რა დიდი ზარალი მოუტანა სახელმწიფოს ცალკეული მუშების მიერ საწარმოო გეგმის შეუსრულებლობამ. ამხ. რომანოვა, ფედოროვა, ივანიკოვა, რომლებიც მუშაობენ იმ საამქროში, სადაც აგიტატორად ხაჩატუროვაა, სისტემატურად ვერ ასრულებენ საწარმოო გეგმებს. მუშა რომანოვამ 1941 წლის იანვრის გეგმა შეასრულა 71,66 პროცენტით, ხოლო თებერვალში — 67 პროცენტით. ეს რომ ფულზე გადავიტანოთ, მან სახელმწიფოს დააკლო 8.507 მან. ფაბრიკის სატრიკოტაჟო, სამკერვალო და ჩულქის საამქროებში აგიტატორები სრულიად არ ატარებენ საუბრებს. ასევე არ ტარდება აგიტაცია სამღებრო და მექანიკურ საამქროებში. ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს საგიტაციო მუშაობას. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ 1941 წლის განმავლობაში არც პარტიულ კრებაზე, არც პარტბიუროს სხდომაზე არ ყოფილა განხილული საკითხი ფაბრიკაში ან ცალკეულ საამქროებში საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ. პარტიული ორგანიზაცია არ იწვევს აგიტატორთა თათბირებს, არ ხდება გამოცდილების ურთიერთგაზიარება. ამ ფაბრიკაში აგიტკოლექტივის მუშაობაც სუსტად არის დაყენებული. XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით აგიტკოლექტივის მეცადინეობა ჩატარებულ იქნა დაგვიანებით; აგიტკოლექტივის მეცადინეობას ყველა აგიტატორი როდი ესწრება. მაგალითად, 25 მარტს მეცადინეობას, რომელზეც XVIII პარტკონფერენციის მასალებს იხილავდნენ, ნაცვლად 17 აგიტატორისა, დაესწრო 6. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ამხ. ამირბეგოვი წინასწარ არ ემზადება საუბრისათვის, საკითხებს ვერ აშუქებს დამაკმაყოფილებლად. იგი არ ეხმარება აგრეთვე აგიტატორებს მეთოდური მითითებებით.

XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა გატარებისათვის ბრძოლა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს მეტ ენერგიას, მეტ კონკრეტულობას ხელმძღვანელობაში.

აუცილებლად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პირველ რიგში თვით აგიტატორი და გაზეთის წამკითხველი მუშაობის საუკეთესო მაგალითს იძლეოდეს. იგი სათანადოდ უნდა უკავშირებდეს აგიტაციას თავის გამოცდილებას, ადგილობრივ ფაქტებს, მაგალითის მიმცემი იყოს დანარჩენებისათვის. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში აგიტატორი ზაქარეიშვილი. იგი კარგი აგიტატორიც არის და გეგმებსაც ყოველთვის სისტემატურად ასრულებს. მან მარტის გეგმა 126,5 პროცენტით გაანაღდა. აგიტატორმა კალაძემ, რომელიც 3 დაზგაზე მუშაობს, მარტის გეგმა 116,6 პროცენტით შეასრულა. მათ მიერ ჩატარებული საუბრები ყოველთვის საინტერესო და მიმზიდველია. ისინი ლაპარაკობენ აგრეთვე თავიანთ გამოცდილებაზე და მუშაობის დადებით მეთოდებს აცნობენ ამხანაგებს. ამ ფაბრიკაში კარგად მუშაობენ აგრეთვე აგიტატორები: ყუფარაძე, კაზიანი, ალიბეგაშვილი და სხვ. ეს ამხანაგები მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავის მოვალეობას.

ასევე კარგად არის დაყენებული საგიტაციო მუშაობა თბილისის თამბაქოს ფაბრიკაში. აქ აგიტატორები XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საუბრების ჩატარებისას მოხერხებულად იყენებენ ადგილობრივი ცხოვრების ფაქტებს. ეს პირველ ყოვლისა შეიძლება ითქვას აგიტატორ ავჩაროვას შესახებ. ამ ფაბრიკაში პოლიტიკური აგიტაციის სათანადოდ გაშლის შედეგად მცირდება დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ საგიტაციო მუშაობაში დაგროვილი მდიდარი გამოცდილება. საფუძვლიანად უნდა ავუხსნათ და განვუმარტოთ მშრომელებს XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა შინაარსი, ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ჩვენს მრეწველობაში არ იყოს არცერთი ჩამორჩენილი საწარმო. ამ საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქმედითს აგიტაციას და ამიტომ საჭიროა პოლიტიკური აგიტაცია დავაყენოთ მოწოდების სიმაღლეზე.

ინგლის-გერმანიის ომი

ბერლინი, 24 აპრილი (საკდესი). უმაღლესი სარდლობა იუწყება: 23 აპრილს, დღისით და ღამით, გერმანიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ინგლისის ჰაეროდრომებს. მიწაზე დაზიანებულია მრავალი თვითმფრინავი. თვითმფრინავებიდან ჩამოგდებული ყუმბარები ანგარებს, ბარაკებსა და საბრძოლო მასალის შესანახავ სახიზარებს მოხვდა. დღისით წარმატებით დავუშინეთ ყუმბარა ჰარვიჩის სანავსადგურო ნაგებობებს.

23 აპრილს, ღამით, ყუმბარმშენთა დიდმა შენაერთებმა კვლავ დაუშინეს ფუგასური და ცეცხლგამჩენი ყუმბარა სამხედრო ნავსადგურ პლიმუტს. საქარხნო ნაგებობებსა და საწყობებში ჯერაც არ ჩაუქრიათ ხანძარი, რომელიც 22 აპრილის ღამის თავდასხმის შედეგად გაჩნდა. მტრის ზარალს ის აორკეცებს რომ სერიოზული ნგრევა მოხდა უმთავრესად დიდ ნავთსაცავებში, რომლებსაც ცეცხლი გაუჩნდა პირველივე ჩამოგდებული ყუმბარების აფეთქების შემდეგ. უკანასკნელ ღამეს წარმატებით დავესხით სამხედრო ნავსადგურ პორტსმუტსაც.

უიკის სამხრეთით გერმანიის ყუმბარმშენებმა 2 ყუმბარა მოახვედრეს მტრის საესკადრო ნაღმოსანს, რომელზედაც ხანძარი გაჩნდა. აბერდინის სამხრეთით დაზიანებულია 2 დიდი სავაჭრო გემი.

მტრის ავიაცია გერმანიის ტერიტორიაზე არ გამოჩენილა.

ლონდონი, 24 აპრილი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 23 აპრილს ღამით პლიმუტმა ზედიზედ მესამედ განიცადა ინტენსიური, თუმცა ნაკლები მასშტაბის, თავდასხმა. ქალაქზე თავდასხმა ნაშუაღამევს შესწყდა. მას ზარალი მიაყენეს. ყუმბარები ჩამოჰყარეს სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ინგლისის რამდენიმე პუნქტშიც, აგრეთვე სამხრეთ უელსში. ზარალი და მსხვერპლი უმნიშვნელოა.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, გუშინ შუაღამემდე ლონდონის რაიონში საჰაერო განგაში არ გამოუცხადებიათ. ინგლისის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებში მოფრენილ გერმანელთა თვითმფრინავებს ინტენსიური ცეცხლით დაუხვდა საზენიტო არტილერია.

23 აპრილს, ღამით, ინგლისის ავიაცია კვლავ დაესხა ბრესტში შეხიზნულ გერმანიის სამხედრო ხომალდებს.

ნიუ-იორკი, 24 აპრილი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, პლიმუტზე უკანასკნელ თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა გერმანიის ასობით თვითმფრინავი. თვითმფრინავებმა ქალაქს რამდენიმე საათის განმავლობაში 100 ათასი ცეცხლგამჩენი და 500 ფუგასური ყუმბარა დააყარეს. რამდენიმე ათასი კაცი უსახლკაროდ დარჩა; ბევრნი ქალაქს სტოვებენ.

ომი ზღვაში

ნიუ-იორკი, 24 აპრილი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ატლანტის ოკეანის სამხრეთ ნაწილში ტორპედირებულ იქნა ინგლისის 8.100 ტონა წყალწყვის სატვირთო გემი „მალანხა". გემის ეკიპაჟის 38 წევრი გადარჩენილია.

ამავე დროს იუწყებიან, რომ ატლანტის ოკეანეში ჩაძირულ იქნა ნორვეგიის 4.200 ტონა წყალწყვის გემი „სამნანგერი". ეკიპაჟის 16 წევრი მოკლულია.

ლონდონი, 24 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის დამხმარე კრეისერი „რაჯპუტანა" ტორპედირებულ იქნა და ჩაიძირა. „რაჯპუტანა" იმავე ტიპისა იყო, როგორც „რავალპინდი", რომელიც გერმანიამ შარშან ჩასძირა.

ავიაციის სამინისტროს ცნობით, გუშინ დღისით ინგლისის ყუმბარმშენთა შენაერთი ნორვეგიის სანაპიროსთან თავს დაესხა მტრის 2.000-მდე წყალწყვის გემს, რომელიც მძიმედ იყო დატვირთული. გემზე დიდი ხანძარი გაჩნდა. ყუმბარა დავაყარეთ აგრეთვე მტრის სანაღმო ტრალერს.

რომი, 24 აპრილი (საკდესი). სტეფანის სააგენტოს ცნობით, 18-დან 20 აპრილამდე იტალიის ავიაციამ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ჩასძირა მოწინააღმდეგის 50 ათას ტონამდე საერთო წყალწყვის გემები; ჩაძირულ გემებს შორის არის ტანკერების დიდი რაოდენობა.

საბერძნეთის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ათენი, 24 აპრილი (საკდესი). საბერძნეთის არმიის სარდლობის ცნობით, ბიტოლის ზეგანზე გერმანიის ძალთა სწრაფმა წინსვლამ, ამით გამოწვეულმა კავშირის გაწყვეტამ საბერძნეთისა და იუგოსლავიის არმიებს შორის და ალბანეთში მოქმედ ბერძენთა ჯარის ზურგში შექმნილმა საფრთხემ სრულიად შეარყიეს ბერძენთა თავდაცვითი ხაზები და გვაიძულეს ფართო მასშტაბით და სწრაფად დავვეხია. ბიტოლის რაიონიდან სამხრეთისაკენ გერმანელთა მოტომექანიზებული ნაწილების სწრაფმა წინსვლამ და, ამასთან დაკავშირებით, ალბანეთის ფრონტის ჯარის მარცხენა ფრთის ძირითადი უკანდასახევი გზის გამოყენების შეუძლებლობამ აიძულეს ბერძენთა ჯარი, რომელიც ამ ფრონტზე იმყოფებოდა და ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები არ გააჩნდა, მთებისაკენ დაძრულიყო, სადაც უკანდახევა და მომარაგება ერთობ გაძნელდა. საერთო უკანდახევაში მონაწილეობას იღებდნენ ეპირში მყოფი ბერძენთა ძირითადი ძალებიც, რომლებიც უკანასკნელ მომენტამდე წარმატებით იგერიებდნენ რიცხვობრივად ერთიორად მეტ იტალიელთა ჯარს. იტალიელთა ძალების ძლიერი შემოტევის მიუხედავად, უკანდახევა წესრიგით განხორციელდა. ბერძენთა ჯარი რამდენჯერმე გადავიდა კონტრიერიშზე და ტყვეებიც კი იგდო ხელთ. მტრის დიდი საავიაციო ძალები განუწყვეტლივ უშენდნენ ყუმბარას უკუქცეულ ბერძენთა ჯარსა და ზურგს და მძიმე პირობები შექმნეს ალბანეთის ფრონტზე ბერძენთა ჯარის ბრძოლის განგრძობისათვის. ამის შედეგად 20 აპრილს საღამოს ბერძენთა ჯარი იძულებული გახდა დანებებულიყო.

გამორკვეულია, — ნათქვამია ცნობაში, — რომ დანებების მომენტში იტალიის ჯარი ვერ გადმოვიდა საბერძნეთის ტერიტორიაზე, ბერძენთა ჯარმა იგი ალბანეთში შეაჩერა.

იაპონიის საიდუმლო საბჭოს საგანგებო პლენარული სხდომა

ტოკიო, 24 აპრილი (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, დღეს 17 საათსა და 30 წუთზე იმპერატორის თანადასწრებით გაიხსნა იაპონიის საიდუმლო საბჭოს საგანგებო პლენარული სხდომა. საბჭოს სხდომამდე შესდგა სხდომა საიდუმლო საბჭოს მიერ გამოყოფილი კომიტეტისა, რომელშიაც შევიდა საბჭოს ყველა წევრი. კომიტეტმა განიხილა იაპონია-საბჭოთა კავშირის ნეიტრალიტეტის პაქტის შინაარსი. იმის შემდეგ, რაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საგარეო საქმეთა მინისტრ მაცუოკას მიერ მოსკოვში 13 აპრილს ხელმოწერილი იაპონია-საბჭოთა კავშირის ნეიტრალიტეტის პაქტის მოწონების შესახებ, საიდუმლო საბჭოს პლენარული სხდომა დაიხურა.

საომარი მოქმედება საბერძნეთში

ათენი, 24 აპრილი (საკდესი). საბერძნეთის სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო იუწყება, რომ გუშინ გერმანიის თვითმფრინავებმა რამდენჯერმე დაუშინეს ყუმბარა პირეის, სალამინის, ატიკისა და მეგარის რაიონებს. გემები და სანავსადგურო ნაგებობანი საგრძნობლად დაზარალდნენ, სამოქალაქო მოსახლეობაში მსხვერპლი უმნიშვნელოა. ეგეოსის ზღვის ერთერთ კუნძულზე გერმანიის თვითმფრინავი დაეშვა. მისი ეკიპაჟი 3 კაცის შემადგენლობით ტყვედ წამოყვანილია. კორინთის რაიონში ჩამოგდებულ ყუმბარებს არც მსხვერპლი გამოუწვევია, არც ნგრევა. თებეს რაიონის ბომბარდირების დროს საბერძნეთის საზენიტო არტილერიამ გერმანიის სამი თვითმფრინავი ჩამოაგდო.

გერმანიის თვითმფრინავთა მეორე რაზმმა ყუმბარა დაუშინა მილოსის კუნძულს, რომელსაც უმნიშვნელო ზარალი მიაყენა. უშედეგოდ ბომბარდირებულ იქნა აგრეთვე ლავრიონში მდგარი თურქეთის სატვირთო გემი.

ბერლინი, 24 აპრილი (საკდესი). უმაღლესი სარდლობა იუწყება, რომ საბერძნეთის ეპირ-მაკედონიის არმიამ იარაღი დაჰყარა.

საბერძნეთში ინგლისელთა არიერგარდებთან ბრძოლაში გერმანიის ჯარმა შესძლო თერმოპილის პოზიციებში შეჭრა.

საჰაერო თავდასხმა მალტაზე

ლონდონი, 24 აპრილი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 21 აპრილს ღამით მტრის ავიაცია ორჯერ დაესხა თავს მალტას. 22 აპრილს ნაშუადღევს ავიაციამ იერიში მიიტანა მალტაზე. ბომბარდირებას სერიოზული ზარალი არ მოჰყოლია. მსხვერპლი არა ყოფილა.

22 აპრილს ღამით გერმანიის თვითმფრინავებმა კვლავ ბევრი ყუმბარა დააყარეს მალტას. უმნიშვნელოდ დაზიანებულია სამოქალაქო ქონება. არის მსხვერპლი მოსახლეობაში. გუშინ მალტაზე 3 საჰაერო განგაში გამოცხადდა. მტრის თვითმფრინავები კუნძულის ახლოს გამოჩნდნენ, მაგრამ მისი სანაპირო არ გადმოულახავთ.

წყალტუბო. სურათზე: კლინიკური სანატორიუმი.
ფოტო პოგორელოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭოების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური თათბირი

საქართველოს სს რესპუბლიკის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურმა საბჭომ ამ დღეებში ცალცალკე ჩაატარა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რაიონების თავდაცვა-ავიაქიმის რაიონული საბჭოების თავმჯდომარეთა საინსტრუქციო თათბირი, რომლის მონაწილეებსაც გააცნო თავდაცვა-ავიაქიმის XV სრულიად-საკავშირო ლატარიის ჩატარების ინსტრუქცია, დაურიგა სათანადო სახელმძღვანელოები და ლატარიის ბილეთები.

თავდაცვა-ავიაქიმის XV სრულიად-საკავშირო ლატარიის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით მთელი რიგი რაიონების თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოების თავმჯდომარეებმა იკისრეს კონკრეტული ვალდებულებები და ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ლანჩხუთის რაიონის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭომ იკისრა XV ლატარიის ბილეთების რეალიზაცია დაამთავროს 15 დღეში და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მახარაძის რაიონის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭო. ორჯონიკიძის (ყოფ. ხარაგოული) რაიონის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ზესტაფონისა და ჭიათურის რაიონების თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოები და იკისრა ლატარიის ბილეთების რეალიზაცია დაამთავროს 6 დღეში. ქუთაისის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება ბათუმის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოსთან და სხვ.

ახალქალაქის რაიონის ისტორიული ძეგლები

როდესაც რომელიმე ქვეყნის წარსულს იკვლევენ, სხვათა შორის, სწავლობენ ამ ქვეყნის სიძველეთა ძეგლებსაც. რაც უფრო მდიდარია ხალხი კულტურულად, მით უფრო მეტი ისტორიული ნაშთები გააჩნია მას წარსულის აღსადგენად. ამ მხრივ მეტად მდიდარია ახალქალაქის რაიონი, ეს „ქართული კულტურის ძველის-ძველი კერა" (აკად. ივ. ჯავახიშვილი), სადაც აღრიცხულია 40-ზე მეტი ძეგლი—ეკლესიები, ციხეები, გამოქვაბულები. ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი—კათედრალი, რომლის ძირითადი კორპუსი აგებულია 964 წელს. ეს ძველი ქართული კულტურის ის საინტერესო ძეგლია, რომლის შესახებაც აკადემიკოსი მ. ბროსე შენიშნავს, რომ „ასეთი ტაძარი, ჩუქურთმებისა და წარწერების სიმრავლით, მეორე აღარ მეგულება საქართველოში". ეკლესიიდან გადის მიწისქვეშა გვირაბი, რომელიც, ხალხის გადმოცემით, ვანიქვაბის ლავრას უერთდებაო. საჭიროა აღნიშნული გვირაბის ამოწმენდა და მისი რესტავრაცია. სოფ. ბარალეთში არის ლაშა-გიორგის დროინდელი ორნავიანი თლილი ქვის ბაზილიკა, რომელიც დღემდე კარგად არის დაცული, (საჭიროებს ნაწილობრივ შეკეთებას). სოფ. კოთელიის ბაზილიკა, რომელზედაც აგრეთვე დაცულია ისტორიული წარწერა, სოფ. იხტილისა (ღრტილისა), მშვენიერი თარიღიანი (1308 წ.) წარწერით, სოფ. ბურნაშეთისა და განსაკუთრებით კი სოფ. სამსრების გამოქვაბულები და გამოქვაბული ეკლესია, სადაც კლდის მასივზე აუარებელი ქართული, ასომთავრული წარწერებია ჩვენამდის მოღწეული.

შეიძლება ითქვას, რომ ახალქალაქის რაიონის არცერთი მნიშვნელოვანი ძეგლი მეცნიერულად არ არის დღემდე შესწავლილ-გამოკვლეული.

მრავალი სიძველის ძეგლი განადგურების კარზეა მისული და ელის შეკეთებას. საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებამ 1938 წელს დაიწყო კუმურდოს ძეგლის რესტავრაცია, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი დღემდე მოუთავებელია.

ასევე შეკეთება-აღდგენას საჭიროებენ ს. ბარალეთის, იხტილის, სამსრისა და სხვა ძეგლები, რომელთაც დაუყოვნებლივ ესაჭიროებათ შეკეთება.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ყოველნაირად ხელს გვიწყობენ ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-განახლებაში. რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი იხარჯება ყოველწლიურად მათი დაცვა-შეკეთებისათვის. 5 მილიონი მანეთი გადასდეს და აითვისეს მარტო ქართული კულტურის ძეგლთა შეკეთება-დაცვისათვის.

გარდა აღნიშნული ძეგლებისა, ახალქალაქის რაიონი საკმაოდ მდიდარია აგრეთწოდებული „მეგალითური" ანუ „ციკლოპური" ძეგლებითაც (ბარალეთი, მურჯახეთი, აბული, ალასტანი, ვარდიციხე და სხვ.), რომელთა არსებობა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წყალობით გაიგო ფართო მოსახლეობამ (იხ. პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი „მეგალითური კულტურა საქართველოში". თბილისი, 1938 წ.).

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ახალქალაქის რაიონის ისტორიული ძეგლების დაცვას.

გ. გოგოლაძე.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია, ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით 28 აპრილს, საღამოს 9 საათზე, ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატის კლუბში (ლენინის ქ. № 28, მე-3 სართული) აწყობს ამხ. პ. გუგუშვილის ლექციას თემაზე:

ქართული ჟურნალისტიკის წარსულიდან

ლექციაზე მოწვეულნი არიან მრავალტირაჟიანი და ძირეული პრესის მუშაკები, აგრეთვე მუშკორები და გაზ. „კომუნისტის" აქტივი თბილისის საწარმოო-დაწესებულებებიდან.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია.

შეხვედრა ლაურეატ ს. კაკაბაძესთან

24 აპრილს საქართველოს მხატვართა კლუბში შესდგა მხატვრების შემოქმედებითი შეხვედრა სტალინური პრემიის ლაურეატთან, სამხატვრო აკადემიის დირექტორ პროფ. **ს. კაკაბაძესთან.** საღამო დაიწყო სახალხო მოქანდაკის პროფ. ი. ნიკოლაძის შესავალი სიტყვით. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: მხატვარი ი. მამალაძე, მოქანდაკე ამიროვი, ორდენოსანი მხატვარი [illegible]რიძე, გ. მირზოევი და სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გიორგაძე.

საპასუხო სიტყვაში სტალინური პრემიის ლაურეატმა ს. კაკაბაძემ დამსწრეთ უამბო თავის შემოქმედებითს ძიებათა შესახებ და განაცხადა, რომ დიად ჯილდოს, პარტიისა და მთავრობის ამ დიდ მზრუნველობას უპასუხებს ახალი შემოქმედებითი აღმავლობით.

პირველი კალენდარული მატჩი

27 აპრილს თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე ჩატარდება სსრ კავშირის პირველობის გათამაშების პირველი კალენდარული მატჩი. თამაშობენ თბილისის „დინამოსა" და სტალინოს „სტახანოვეცის" ოსტატთა საჩვენებელი გუნდები.

გუნდები მოედანზე შემდეგი შემადგენლობით გამოვლენ: „სტახანოვეცი"— სკრიპჩენკო, სავიცკი, ბიკეზინი, კუზნეცოვი, ზაგრეცკი, პრიმენკო, იურჩენკო, ნაუმოვი, კონონენკო, სისოევკო, ნესმეხა; „დინამო"—ტყებუჩავა, კიკნაძე, პენლევანიდი, ჯორბენაძე, ფროლოვი, მ. ბერძენიშვილი, პანიუკოვი, ბერეჟნოი, პაიჭაძე, ჩერედნიჩენკო, გავაშელი.

„სტახანოვეცის" გუნდს ახასიათებს ტემპიანი და ენერგიული თამაში. ახალგაზრდა ფეხბურთელები ტექნიკურად კარგად არიან მომზადებულნი. მიმდინარე წელს „სტახანოვეცს" გამოაკლდა ორი წამყვანი მოთამაშე—ბალაბა და იაკოვლევი (ისინი თამაშობენ მოსკოვის პროფკავშირების პირველ გუნდში), მაგრამ მათ ნაცვლად გუნდში შეყვანილია მთელი რიგი ახალი ძლიერი ფეხბურთელები.

გასული სამი წლის მანძილზე თბილისის „დინამო" და სტალინოს „სტახანოვეცი" ერთმანეთს შეხვდნენ 5-ჯერ, აქედან „დინამომ" ოთხი მატჩი მოიგო და ერთი ფრედ დაამთავრა. ამ მატჩების საერთო ანგარიში—12:6 „დინამოს" სასარგებლოდ.

მატჩი დაიწყება 5 საათზე. მატჩს სჯის საკავშირო კატეგორიის მსაჯი ტერეხოვი (მოსკოვი).

„იმედის დაღუპვა" მარჯანიშვილის თეატრში

ორშაბათს, 28 აპრილს, მარჯანიშვილის თეატრის შენობაში თბილისის კინოსტუდიის მსახიობთა კოლექტივი გამართავს წარმოდგენას. დადგმული იქნება გ. გეიერმანსის ცნობილი პიესა „იმედის დაღუპვა". სპექტაკლს დგამს მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორი ვ. ყუშიტაშვილი. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ბ. ვაწაძეს. სპექტაკლში მონაწილეობენ კინომსახიობები: ნ. ვაჩნაძე, დ. წეროძე, თ. ციციშვილი, ს. ბალაშვილი, კ. მაჭარაძე, ე. ჟორდანია, შ. ბეჟუაშვილი, კ. დაუშვილი, ა. წითლიძე და სხვები.

მიწისძვრა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის თბილისის ცენტრალური სეისმური სადგურის სეისმოგრაფებმა, გუშინ, 25 აპრილს 16 საათსა და 0 წუთსა და 17 წამზე თბილისის სადეკრეტო დროით ჩასწერეს ადგილობრივი ხასიათის მიწისძვრა.

მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობს თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით 100 კილომეტრის მანძილზე. მიწისძვრის ძალა ეპიცენტრში 5-6 ბალს უდრიდა. თბილისში მიწისძვრა საგრძნობი იყო 3, ხოლო ქალაქის ზოგ რაიონში 4 ბალის სიძლიერით.

რადიოგადაცემა დღეს

10.30—გადაცემა პიონერთა და მოსწავლეთათვის ციკლიდან: „სკოლის ცხოვრება"; 10.50—კონცერტი (საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები) 11.30—თბილისის ახალი ამბები ქართულ და რუსულ ენებზე; 11.50—ინფორმაციები; 12.00 — კონცერტი; 12.45 — საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა; 12.58—დროის შემოწმება; 13.00 — უკანასკნელ ცნობათა დღის გამოშვება; 13.15—საესტრადო კონცერტი; 14.15—ბიზეს ოპერა „მარგალიტის მაძიებელნი" (მონტაჟი); 16.50 — გადაცემათა პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე; 17.30 — საუბარი თემაზე: „გამოჩენილი რუსი პუბლიცისტი და ფილოსოფოსი ჩაადაევი"; 18.00 — ქართული მუსიკის კონცერტი; 18.55 — ინფორმაციები; 18.58—დროის შემოწმება; 19.00 — უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვება ქართულ და რუსულ ენებზე; 19.30—პოპულარული მუსიკის კონცერტი; 20.00 — უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვება; 20.30 — კონცერტი (ბოროდინის მეორე კვარტეტი); 21.00 — საზოგადოებრივ - პოლიტიკური გადაცემა; 21.30—ლიტერატურული გადაცემა ქართულ ენაზე (მიკროფონთან პოეტი გ. ქუჩიშვილი); 22.06—სიმფონიური კონცერტი; 23.30 — გასართობი მუსიკის კონცერტი; 00.08 — უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება ქართულ ენაზე; 00.30 — უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება (ტრანსლაცია მოსკოვიდან).

ლექციები, მოხსენებები

26 აპრილს, საღამოს 8½ საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის სახელობის რაიკომის სხდომათა დარბაზში (ამიერ-კავკასიის ფედერაციის ქ., № 2) შესდგება ამხ. **ხანთაძის** ლექცია (ქართულ ენაზე). თემა: **„როგორ იყენებს ამხანაგი სტალინი მხატვრულ ლიტერატურას პოლიტიკურ ბრძოლაში".**

შესვლა თავისუფალია.

28 აპრილს, საღამოს 8½ საათზე, სახელმწიფო ოპერის თეატრის შენობაში შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია (რუსულ ენაზე) თემა: **„საერთაშორისო მდგომარეობა".**

ბილეთი ღირს 1 მან. ბილეთები იყიდება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლ. ბერიას სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში, სახელმწიფო ოპერის თეატრის სალაროში.

28 აპრილს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლის სალექციო დარბაზში შესდგება ამხ. **ფრიშენბერგის** ლექცია (რუსულ ენაზე). თემა: **„საერთაშორისო მდგომარეობის მიმოხილვა".**

ბილეთების შეძენა შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლის ბიბლიოთეკაში (ლენინის, № 41).

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **სახოპერა** — „ტრუბადური", **რუსთაველის სახელობის**—„გიორგი სააკაძე", **მარჯანიშვილის სახელობის** — „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი", **გრიბოედოვის სახელობის**—„დელინაცვალი", **სანკულტურის ქართული თეატრი**—„აჟილღა", **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი**—„სურამის ციხე" (აბონემენტის გარეშე).

კინოებში: **რუსთაველის სახ. და დამკვრელი**—„შემთხვევა ვულკანზე", **ოქტომბერი** — „ბოგდან ხმელნიცკი", **კომკავშირელი** — „გულადი ნაზარა", **სპარტაკი** — „ამანგელდი", **ლუქსემბურგის სახ.** — „გულადი ნაზარა", **ბერიას სახელობის კულტურის სახლი**—„ბალტიელები", **26 კომ. სახ.** — „ბოგდან ხმელნიცკი", **კომინტერნი** — „ტრაქტორისტები", **განთიადი** — „მუსიკალური ისტორია", **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „სალავათ იულაევი", **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „საყვარელი ქალიშვილი", **მეცნიერება და ცოდნა**—„მზე" და სხვ., **საზკვების კავშირის კლუბი** — „ცირკი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

26 აპრილს
1 აბ. ძე-15 წარმ.
ტრუბადური

27 აპრილს
კაკო ყაჩაღი
დასაწყისი საღამოს 8 ს.

27 აპრილს დღის წარმოდგენა
ქეთო და კოტე
დასაწყისი დღის 12 ს.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი

26 აპრილს
გიორგი სააკაძე

27 აპრილს
ჭიქა წყალი
დასაწყისი საღ. 8 ს. და 30 წ.

27 აპრილს დილის წარმოდგენა
ჭიქა წყალი
დასაწყისი დღის 12 ს.

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი

26 აპრილს
სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი
დასაწყისი საღ. 8 ს. და 30 წ.

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრი
[illegible]

26 აპრილს
27 აპრილს
ორი ძმა [illegible]

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
აცხადებს მიღებას 1941—42 აკადემიურ წელს შემდეგ
ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

1. **ფიზიკა-მათემატიკის ფაკ.** — ქართული და რუსული სექტორები (სპეციალობები: მათემატიკა, ფიზიკა, გეოფიზიკა და ასტრონომია).
2. **ქიმიის ფაკულტ.**—(სპეციალობები: არაორგანიული ქიმია, ორგანიული ქიმია, ანალიტიკური ქიმია, ფიზიკური ქიმია).
3. **გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ.**—(სპეციალობები: გეომორფოლოგია, ეკონომიური გეოგრაფია, ფიზიკური ქვეყანათმცოდნეობა, ჰიდროლოგია, კლიმატოლოგია, გეოლოგია).
4. **ბიოლოგიის ფაკ.**—(სპეციალობები: ბოტანიკა, ზოოლოგია).
5. **ისტორიის ფაკ.**—(სპეციალობები: ისტორია, საქართველოს ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ხელოვნების ისტორია).
6. **ფილოლოგიის ფაკ.**—ქართული და რუსული სექტორები (სპეციალობები: ქართული ენა და ლიტ., რუსული ენა და ლიტ., კავკასიური და აღმოსავლური ენები, დასავლეთ ევროპის ენები და ლიტ.).
7. **ეკონომიკის ფაკ.**—(სპეციალობები: ფინანსები, კრედიტი, მრეწველობის დაგეგმვა, საბჭოთა ვაჭრობის დაგეგმვა, სოფლის მეურნეობის დაგეგმვა, საქონლისმცოდნეობა, სოფლის მეურნეობის ბუხჰალტერია, მრეწველობის ბუხჰალტერია, საბჭოთა ვაჭრობის ბუხჰალტერია).
8. **იურიდიული ფაკ.**
9. **ფილოსოფიის ფაკ.**
10. მიღება სწარმოებს უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტის მიერ უმაღლესი სკოლებისათვის დამტკიცებული წესებისა და პროგრამების მიხედვით.

განცხადებათა მიღება წარმოებს 20 ივნისიდან 31 ივლისამდე. განცხადება უნდა იყოს შემოტანილი უნივერსიტეტის რექტორის სახელზე (მისამართი: თბილისი, მარის ქ. № 1).

განცხადებაში ნაჩვენები უნდა იყოს: რომელ ფაკულტეტსა, სექტორსა და სპეციალობაზე სურს შესვლა.

11. მისაღები გამოცდები იწარმოებს 1-დან 20 აგვისტომდე, ჩარიცხვა კი 21-დან 25 აგვისტომდე.

საჭირო ცნობების მიღება შეიძლება უნივერსიტეტის მიმღებ კომისიაში.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
200 უნივერსიტეტის რექტორი **დ. უიფშიძე.**

მოზარდ მაყურებელთა ქართული სახელმწიფო თეატრი
1940—41 წ. წ. სეზონი
შაბათს, 26 აპრილს — აბონემენტის გარეშე — კვირას, 27 აპრილს
ს. მთვარაძე
სურამის ციხე
ტრაგედია 4 მოქმ. 8 სურათად
დადგმა—რესპ. სახ. არტ. ორდენოსან ალ. თაყაიშვილისა, მხატვარი—დ. თავაძე, მუსიკა კომპოზიტორ ვ. შავერზაშვილისა, რეჟ. თანაშემწე—ივ. ჟორჟოლიანი.
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში დილის 12-დან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 9 საათამდე. დასაწყისი საღ. 8 ს. 132

თანახმად სასაფლაოთა მეურნეობის ტრესტის დირექციის ბრძანებისა 1941 წ. 4 აპრილის, ხდება ტრესტში შემავალი
საავეჯო წარმოების ლიკვიდაცია
(ორბელიანის ქ. № 31)
იმ ორგანიზაცია-დაწესებულებებს და კერძო პირებს, ვისაც აქვთ პრეტენზიები, შეუძლიათ შემოიტანონ შემდეგი მისამართით: პლეხანოვის პროსპ. № 24, ტელეფონი № 3-38-40.
პრეტენზიები მიიღება დღიდან გამოცხადებისა ორი კვირის განმავლობაში, რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ მიიღება.
124 **ლიკვიდკომი.**

მეუღლე თამარ ბარათაშვილი, და ანიჩკა, სიძე თომა ჩხეიძე შვილებით იუწყებიან, რომ 27/IV 2 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია
ივანე (კოლია) ჯავახის-ძე ამაშუკელის
პანაშვიდი. 11661

მშობლები ელენე, იოსებ შვილებით, ბებია ალექსანდრა, ბიძები ვარდენ, ვლადიმერ ჩიქოვანები ცოლშვილით იუწყებიან
ეთერ ჩიქოვანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 27/IV ქუთაისში, ზდანოვიჩის, 48. 11653

ძმები მაშურა ქვარიანი, ნინო ანდრონიკაშვილი შვილით დოდოთი, ანასტასია კლდიაშვილი იუწყებიან
ნინო გრიგოლის-ასულ კლდიაშვილი-აბაშიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს 8 ს. მარის, 48, დაკრძალვა 27/IV 1 ს. 11655

ცოლი ეკატერინე, მშობლები სარა, ასლანი, ძმა ალექსანდრე ცოლშვილით, და ჟენია, ქმარშვილით, ბიძა ლუკა ცოლშვილით იუწყებიან, რომ 27/IV 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
მიხეილ ასლანის-ძე არჩვაძის
სამოქალაქო პანაშვიდი.

[illegible] 11644 [illegible] 11659 [illegible] 11666 [illegible] 11677 [illegible] 11631 [illegible] 11640 [illegible] 11656 [illegible] 11658 [illegible] 11671 [illegible] 11620 [illegible] 11635 [illegible] 11664 [illegible] 11660 [illegible] 11643 [illegible] 11665 [illegible] 11676 [illegible] 11625 [illegible] 11646 [illegible] 11662 [illegible] 11657 [illegible] 11670 [illegible] 11675 [illegible] 11634 [illegible] 11663 [illegible] 11649

რედაქციის და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: [illegible]
„კომუნისტი" რედაქციის და გამომცემლობის ... ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28; ... რუსთაველის პროსპექტი № 36. [illegible] 16153